ეროვნული ბიბლიოთეკა

ველა ქვეყნისა, შეერთდით! წლიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24. ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

№ 300 კვირა, 30 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი

გაუმარჯოს სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყ

საბჭოთა ყრილობა

დღეს გაიხსნება სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა.

იმ საკითხებში, რომელნიც დგანან ყრილობის დღის წესრიგში, ჩვენ დღეს შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთებზე.

პირველ ყოვლისა მიწის კოდექსზე. იყო ჩვენში გამოცემული მიწის შესახებ ძირითადი დეკრეტი (№ 17), შემდეგ სხვა კანონები და ინსტრუქციები, მაგრამ დღემდე არ გვქონია ერთიანი კოდექსი, რომელშიც ყოფილიყოს ჩამოყალიბებული მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის ყველა საკითხები. აქნობამდე ეს შეუძლებელიც იყო. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მხოლოდ ხუთი წლის არსებობის შემდეგ იქნა შედგენილი მიწის კოდექსი. და ეს იმიტომ, რომ ისეთი უურთულესი საკითხის მოწესრიგებისათვის, როგორიცაა საადგილ-მამულო ურთიერთობა, საჭირო იყო ხანგრძლივი და დიდი წინასწარი მუშაობა, სათანადო მასალების შეგროვება და მათი შესწავლა. ჩვენში კი საბჭოთა ხელისუფლებას სამი წლის ისტორიაც არა აქვს. მიწის რევოლიუციონური რეფორმა სავსებით მხოლოდ შარშან გავატარეთ. მხოლოდ ეხლა მოგვეცა საშუალება, შეძენილ გამოცდილების მიხედვით, შეგვემუშავებია მიწის კოდექსი. კოდექსის პროექტი, შედგენილი მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ, გამოქვეყნებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, აგრეთვე მოთავსებული იყო მის შესახებ რამოდენიმე წერილი.

ჩვენი კოდექსი, რა თქმა უნდა, უარყოფს კერძო საკუთრების პრინციპს და მთელ მიწას სახელმწიფოს საკუთრებად აცხადებს. კოდექსი განსაზღვრავს, თუ ვის აქვს მიწითსარგებლობის უფლება და რა ფორმითაა შესაძლებელი მით სარგებლობა. კოდექსი აწესებს მიწის კატეგორიებს მისი ღირსების მიხედვით და მიწითსარგებლობის მტკიცე ნორმებს. კოდექსი შეიცავს აგრეთვე დებულებებს მიწათმოწყობის და გადასახლების საკითხების შესახებ.

ამ კოდექსს უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასოფლო-მეურნეო- [illegible] იგი [illegible] აყალიბებს საადგილ-მამულო დამოკიდებულებას, ბოლოს უღებს ამ სფეროში ყოველგვარ გაუგებრობას, მკაფიოდ საზღვრავს მშრომელ გლეხობის უფლებებს, რაც უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს გლეხის ნაყოფიერ მუშაობის ზრდას და მისი მეურნეობის აღორძინებას.

საბჭოთა ყრილობა განიხილავს კოდექსის წარმოდგენილ პროექტს. ადგილობრივი ამხანაგები უკვე გაცნობილი არიან მას და, თავიანთი უშუალო გამოცდილების მიხედვით, თუ საჭირო იქნება, შეიტანენ მასში ცვლილებებს.

საბჭოთა ყრილობა მიუდგება პროექტს იმ სერიოზულობით და სიფრთხილით, რომელსაც მოითხოვს საკითხი.

მიწის კოდექსის პროექტთან ერთად წარდგენილი იქნება ყრილობაზე ტყის კოდექსისაც პროექტი. ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რა დიდი სიმდიდრეს წარმოადგენს ჩვენთვის ტყე და თუ რა მნიშვნელობა აქვს მის დაცვას და რაციონალურად გამოყენებას.

საბჭოთა ყრილობა აქაც იტყვის თავის ავტორიტეტულ კანონმდებლობითი სიტყვას.

ყრილობის დღის წესრიგში დგას, სხვათაშორის, მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება, ე. ი. საკითხი ჩვენი მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის და მისი პერსპექტივების შესახებ.

ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის ერთიანი, დაწვრილებით გამომუშავებული გეგმა, მისი ყველა ნაწილების და ელემენტების ურთიერთი შეთანხმება და პროპორციული განვითარება, ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გაიაფება, ადგილობრივი მრეწველობის განვითარება და სხვა უაღრესი მნიშვნელობის საკითხებია, რომელთა განხილვას საბჭოთა ყრილობა მიაქცევს სათანადო ყურადღებას.

სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ელექტროფიკაციის საკითხი, რომელიც აგრეთვე შეტანილია ყრილობის დღის წესრიგში.

მუშაობა ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის კარგა ხანია დაიწყო ჩვენში და ის ინტენსიურად მიმდინარეობს. ვაშენებთ ზემოავჭალის უდიდეს ჰიდრო ელექტრონულ სადგურს. ამას წინად საძირკველი ჩაეყარა არა ნაკლებ მნიშვნელოვან სადგურის აშენებას მდ. აბაშის ჩანჩქერზე. მრავალ ქალაქში აშენებულია ან შენდება უფრო წვრილი სადგურები.

ელექტროფიკაცია საფუძველია ქვეყნის მეურნეობის და კულტურის აღორძინების. ეს ყველას ესმის. მხოლოდ აქ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ჩვენ ამ დარგში, როგორც ყველა დარგებშიც, უნდა გავზომოთ ჩვენი რესურსები და ისე ვაწარმოოთ აღმშენებლობითი მუშაობა. ელექტროფიკაცია აუარებელ საშუალებებს მოითხოვს, და ეს ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში. ამასთან საჭიროა აქაც მტკიცე სამოქმედო გეგმის გამომუშავება რესპუბლიკის მაშტაბით.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენებას, რომელიც უნდა იქნას გაკეთებული ყრილობაზე.

საკითხი ეხება სკოლების ქსელის გაფართოვებას, არსებულ სკოლების უკეთ მოწყობას და მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განათლების დარგში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ მენშევიკების დროსთან შედარებით. სკოლების რიცხვი, მოწაფეთა და მასწავლებელთა რაოდენობა ეხლა გაცილებით მეტია. მაგრამ ამ მხრივ შემდეგში უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ამისათვის საჭიროა საშუალებები. მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, ეს საშუალებები უნდა გამოვნახოთ. საბჭოთა ყრილობა განათლების საქმის გაუმჯობესებაზე იქონიებს თავის მსჯელობას და ის კიდეც შესძლებს ამ მხრივ მდგომარეობის წინ წაწევას. ყრილობის დღის წესრიგში დგას აგრეთვე ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ მაზრების რაიონებად დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების გამარტივების შესახებ.

სათანადო პროექტი მიზნად ისახავს ხარჯების შემცირებას და მართვა-გამგეობისათვის უფრო მოქნილი ხასიათის მიცემას. ამ რეფორმის გატარებაში გვმართებს დიდი სიფრთხილის გამოჩენა; საბჭოთა აპარატი ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ ის ახლო იდგეს ხალხთან და ამ უკანასკნელს გაუადვილდეს მით სარგებლობა.

კიდევ გვინდა შევეხოთ ორ საკითხს, რომელნიც დგანან ყრილობის დღის წესრიგში.

ერთია სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, მეორე—მოხსენება წითელი ლაშქრის შესახებ.

ჩვენში ჯერაც არ არის საკმაოდ განმტკიცებული ე. წ. საბიუჯეტო დისციპლინა. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებამ ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო. ყოველმა დაწესებულებამ უნდა გასწიოს ხარჯი დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შემოსავალ-გასავალის გათანაბრება, ემისიის შემცირება, ფულის კურსის განმტკიცება და მთელი მეურნეობის აღორძინება.

ჩვენი წითელი ლაშქარი ახალგაზრდაა. მაგრამ დიდი მუშაობა სწარმოებს მისი უზრუნველსაყოფად მატერიალური მხრით და მისი კულტურული დონის ასამაღლებლად. ჩვენ უნდა გვყავდეს რევოლიუციონური და შეგნებული ლაშქარი, და ის ასეთიც არის. ის მტკიცედ დგას მშრომელთა რესპუბლიკის სადარაჯოზე. თავის მხრივ მშრომელი ხალხი და მისი უზენაესი ორგანო—საბჭოთა ყრილობა არ მოაკლებენ მას თავის მზრუნველობას.

საბჭოთა მეორე ყრილობის წინაშე, როგორც ვხედავთ, დგანან უაღრესი მნიშვნელობის საკითხები. მათი გადაჭრით ყრილობა უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას და შექმნის მკვიდრ ნიადაგს ქვეყნის ყოველმხრივი წარმატებისათვის

გზა-ტკეცილის გაყვანა ზემო-სვანეთში

(სვანების დელეგაციის ჩამოსვლის გამო ტფილისში)

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ზემო-სვანეთი თავისი დაახლოვებით*) 30.000 სული მცხოვრებლებით სრულიად მოწყვეტილი და გადაკარგული კუთხეა მთელ საქართველოში. მხოლოდ ზაფხულობით, 4—5 თვის განმავლობაში, და ისიც, რა თქმა უნდა, დიდის გაჭირვებით და ვაივაგლახით შესაძლებელია ამ კუთხესთან მიმოსვლის დაჭერა. ეს აიხსნება, რასაკვირველია, სრული უგზოობით. ზემო-სვანეთი მდებარეობს კავკასიონის მთების კალთებზე სამხრეთით მდინარე ენგურის ვიწრო ხეობაში, იქ, საიდანაც ეს მდინარე ღებულობს დასაწყისს. ის შემორტყმულია ირგვლივ მაღალი მიუდგომელი მთებით და აქვს ერთად ერთი გამოსავალი მდინარე ენგურის გაყოლებით, რომელიც, ჩამოდის რა სვანეთიდან, გაივლის სამეგრელოში (ზუგდიდის მაზრა) და უერთდება შავ ზღვას. ამ მდინარეს ნაპირს მიჰყვება საცალფეხო გზა, თუ მას შეიძლება ეწოდოს ეს სახელი,—გზა, რომელზედაც ზაფხულობით ძლივს-ძლივობით შეიძლება ფეხით ან ცხენით სიარული. ამ გზაზე სიარული ზაფხულობითაც დიდი გაბედულებაა და სხვა დროს ეს ხომ პირდაპირ თავის განწირვაა. ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი დაღუპულა და იღუპება ამ ოხერ გზაზე. ტყუილა კი არ ამბობენ, რომ ვინც სვანეთისაკენ განიზრახავს გამგზავრებას ან იქიდან წამოსვლას, მან წინდაწინ ანდერძი უნდა დატოვოსო.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, სვანები მაინც იძულებული არიან იმგზავრონ ამ გზით. ისინი ცხოვრობენ ბუნების მხრით მეტათ მძაფრ და სასტიკ პირობებში. ზემო-სვანეთი წარმოადგენს მეტათ მაღალ და, მაშასადამე, ცივ ადგილ-მიდამოს, სადაც პური და სიმინდი ვერ ასწრებს დაწიფებას და სადაც ალაგ-ალაგ თესვენ მხოლოდ ქერს. ამიტომ მცხოვრებლები უმთავრესათ მისდევენ საქონლის მოშენებას. მაშასადამე, სვანებმა რომ თავი გამოიკვებონ, იმათ აუცილებლათ უნდა შემოიტანონ საიდანაც იქნება სურსათი, უმთავრესათ სიმინდი. ეს „საიდანაც", რა თქმა უნდა, ისევ ის საცალფეხო გზაა*), რომელზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი. ახლა თქვენ შეგიძლიათ, რამდენიმეთ მაინც წარმოიდგინოთ, თუ რაოდენი წვალება და ტანჯვა უნდა განიცადონ სვანებმა სურსათის გადატანის დროს იმ გზაზე, რომელზედაც დაუტვირთავ ცხენსაც კი უჭირს სიარული. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ სვანები ჩვენს გვერდით მეოცე საუკუნეშიაც ცხოვრობენ პირველყოფილი პირობებში, კულტურულათ, სწავლა-განათლებით როგორც ძალაზე ჩამორჩენილი ხალხი რომელიმე ჩავარდნილ კუნძულზე. მართალია, საქართველოში არის კიდევ სხვა მივარდნილი კუთხეები, როგორც, მაგ. ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, სამხრეთ ოსეთი და რამდენიმეთ [illegible]ბლიკა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი ამ კუთხეთაგანი ამ მხრით ზემო-სვანეთს ვერ შეედრება. მთელ ზემო-სვანეთში არ მოიპოვება არც ერთი უბრალო სავაჭრო. მრავალ საყოველთაოთ სახმარ ნივთს, როგორც, მაგ., ნავთს, საპონს, წკირას (სპიჩკა) და სხვა ასეთებს სვანეთში ვერსად იპოვნით, წამლისაც რომ დაგჭირდეთ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბევრი ნაბიჯი იქნა გადადგმული საბჭოთა ხელისუფლების მხრით ზემო-სვანეთთან დაახლოვებლათ. ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გულწრფელად მოიწადინა ამ კუთხესთან დაახლოვება და მასთან მჭიდრო კავშირის შექმნა, რომ ზემო-სვანეთის გლეხობა იხსნას გაჭირვებისაგან, გამოაფხიზლოს და გამოიყვანოს სიბეჩავისა და სიბნელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ცენტრალური მთავრობა შეძლებისდაგვარად უწევს სხვადასხვა დახმარებას სვანეთის ხალხს, თითქმის ყველა 15 თემში გახსნილია სკოლა, ორ ადგილას მუშაობს სამკურნალო დაწესებულება და სხვა.

ყოველივე ეს მზრუნველობა არ შეიძლებოდა რომ არ ეგრძნოთ თვით სვანებსაც. იმათ პირველათ დაინახეს მთავრობის მხრით ასეთი დახმარება და მზრუნველობა და ამიტომაც ისინი დარწმუნდენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლაც მოწადინებულია მათ გაუწოდოს ძმური ხელი დასახმარებლათ. ამას მოწმობს ყველაზე უფრო ზემო-სვანეთიდან ტფილისში ჩამოსული დელეგაცია 35 კაცისაგან შემდგარი. ამ დელეგაციამ თან მოიტანა სხვადასხვა შუამდგომლობა მთელი ზემო-სვანეთის ხალხისა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

სვანები გრძნობენ თავის უმწეობას, თავის დაბეჩავებას და უკან ჩამორჩენას, და ისინი მონდომებული არიან თავი დააღწიონ ამ მდგომარეობას. მაგრამ თავისი საკუთარი ძალით არ ძალუძთ აქედან გამოსვლა. და ამიტომ ისინი ემუდარებიან საქართველოს მთელ მოსახლეობას და მის მთავრობას გაუწოდონ მათ ძმური ხელი და დაიხსნან ისინი იმ გაჭირვებისაგან, რომელშიაც ისინი აქამდის იმყოფებიან. სხვადასხვა საგანს ეხება სვანების შუამდგომლობა, ახალი სკოლების გახსნას, საექიმო დახმარების გაფართოვებას, ღარიბ მოწაფეების დახმარებას, სამაზრო დაწესებულებებისთვის შენობის აგებას და სხვ. მაგრამ არის ყველა ამ შუამდგომლობათა შორის ერთი მთავარი საგანი,—ესაა ზემო-სვანეთის გზა-ტკეცილის გაყვანა უამისოდ ფუჭეა სხვა საგნებზე ზრუნვა. თუ ზემოსვანეთში გზატკეცილი არ იქნა გაკეთებული, შეუძლებელი იქნება ზემო-სვანეთის დაახლოვება და იქ რაიმე ცვლილების შეტანა.

ჩვენ ვამბობთ გადაჭრით ეს გზა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, რათაც ის არ უნდა დაჯდეს. ამ გზას სიგრძე ექნება სულ ასი ვერსი; აქედან 30 ვერსი ზუგდიდის მაზრაშია, დანარჩენი 70 ვერსი თვით ზემო-სვანეთში, ერთი ბოლო ექნება სოფ ჯვარში (ზუგდ. მაზ) მეორე კი ბეჩოში (ზ. სვანეთი). ყოველგვარი მასალა, (ქვა, ხე-ტყე და სხვა). გარდა რკინეულობისა და ცემენტისა. უხვად მოიპოვება ადგილობრივ.

საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა ამ გზის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობაზე. თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ გზას თვით ზემო-სვანეთის მცხოვრებთათვის როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, ამაზე ლაპარაკი, ვგონებ, მეტია. მაგრამ ჩვენ უნდა მივუთითოთ **ზემო-სვანეთის გზატკეცილის საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზედაც**. მე ვამბობ, რომ ამ მნიშვნელობის სავსებით გათვალწინება დღეს შეუძლებელია. მართალია, ზემო-სვანეთი დღეს საქართველოში ყველაზე უფრო დაშორებული და მივარდნილი კუთხეა; მართალია, იქ სასტიკი და მძაფრი ბუნებაა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, მიუხედავათ ყველა ამისა, რომ ეს კუთხე ერთი **უმდიდრესი** და შეიძლება **უუმდიდრესი** კუთხეა არა თუ მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის აქეთა ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა ზემო-სვანეთი მდიდარია შესანიშნავი ტყით, რომლის ბადალი ჩვენში არსად არ მოიპოვება; ამავე დროს მას ახლავს საუცხოო საზაფხულო ალპიური **საძოვრები**, სადაც ზაფხულობით შეიძლება გადენილ იქნას საქონელი სამეგრელოდანაც. შემდეგ, ზემო-სვანეთი მდიდარია როგორც სხვადასხვაგვარი **მადნეული** (სამკურნალო) **წყლებით**, ისე სხვადასხვა **მადნეულობითაც**. სამწუხაროდ, ზემო-სვანეთის **მინერალური სიმდიდრე** ჯერ სრულებით გამოუკვლეველი და უცნობია. შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ეს სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც ეხება ძველ ბერძნების გადმოცემა **ოქროს ვერძზე**. ამ გადმოცემას აქვს საფუძველი. როგორც ოქროს და ვერცხლის, ისე სხვა მადნების ნიშნები ხშირია დღესაც ზემო-სვანეთში. ყველა ამას მიუმატეთ ზემო-სვანეთის ბუნების მართლაც ზღაპრული და თვალწარმტაცი სილამაზე და სიმშვენიერე, რომლის მსგავს ვერსად ვერ ნახავს ადამიანი მთელ ჩვენ ქვეყანაში. თუ ზ.-სვანეთში გაყვანილი იქნება გზატკეცილი, მის სანახავათ და დასათვალიერებლად ასობით და ათასობით წავლენ უცხოელი მგზავრებიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იმავე დროს ძველისძველი ხალხის—**სვანების**—ქვეყანაა, რომელზედაც ასე ბევრი უწერიათ ძველად ბერძნებს და რომაელების მწერლებს. ის აქამდის წარმოადგენს ჩვენთვის დახურულ წიგნს.

დასასრულ, მდინარე ენგურზე სულ ადვილი იქნება ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება, რომელიც სულ ადვილათ მოგვცემს ელექტრონულ ენერგიის მთელი ზემო-სვანეთის განათებლათ და აგრეთვე ხე-ტყის ქარხნების, აბანოების, წისქვილების და სხვ. ასამუშავებლათ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ეს გზა გაყვანილი იქნა, სახელმწიფო შესძლებს ზემო-სვანეთის მდიდარ ბუნების **გამოყენებას** ყოველმხრივ. დღემდის ეს სიმდიდრე სრულებით ხელუხლებელი და გამოუყენებელია.

შეიძლება ჩვენ გვითხრან: ყველაფერი ეს მართალი და დასაჯერებელია, მაგრამ აბა დაგვისახელეთ ის წყარო, საიდანაც შესაძლებელი იქნება დასახელებული გზის გაყვანა, ვინაიდან მარტო ლაპარაკით ხომ საქმე არ გაკეთდება. რა თქმა უნდა, როცა მე დღეს ზემო-სვანეთის გზატკეცილის გაყვანაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს სწორედ ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება **პირველ რიგში**, ისე მე ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებდი. თავისთავად იგულისხმება, რომ ერთ წუთსაც არ ვივიწყებ იმას, რომ ჩვენ გარდა ამისა სხვა ბევრი ფრიად საჭირო საქმეები გვაქვს გასაკეთებელი; მაგრამ მიუხედავათ ამისა, მე მაინც ვაყენებ ზემო-სვანეთის გზის გაყვანას პირველ რიგში და ვამბობ, რომ ამ გზის გაკეთება შესაძლებელია. მხოლოდ უნდა **შევუდგეთ საქმეს**. საშუალება იშოვნება, თუმცა ჩვენი სახელმწიფო ღატაკია. საბჭოთა ხელისუფლებამ **საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს** სახით უნდა დაუყონებლივ ხელი მოკიდოს ამ საქმეს და გაიღოს თავისი წვლილი. მას დაეხმარება, რა თქმა უნდა, **ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოც**, და როგორც ერთის, ისე მეორის თაოსნობით წინადადება უნდა მიეცეს ყველა **ცენტრალურ კომისარიატებს** და **სამეურნეო ხასიათის დაწესებულებებს** გაიღონ ამ საქმისათვის თავთავიანთი წვლილი. მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ ყველა ეს კომისარიატები და დაწესებულებანი სავსებით გაითვალისწინებენ ერთი მხრით ზემო-სვანეთის ყოვლად უმწეო მდგომარეობას და მეორე მხრით იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ექნება გზა-ტკეცილს როგორც თვით სვანეთისათვის, ისე მთელი სახელმწიფოსთვისაც, ისინი არ დაიშურებენ ამ საქმისთვის ნივთიერ დახმარებას.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა აღვძრათ საზოგადოებაში და პრესაში ფართო აგიტაცია ამ გზის გარშემო, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები და აგრეთვე კერძო პირებიც გაიღებენ ამ საქმისთვის შეწირულებებს.

იტყვიან, რომ შეუძლებელია ასეთი საქმის დაწყება იმ იმედით, რომ შემოწირულებები იქნებაო. ჯერ მოგვეცით სწორი ხარჯთ აღრიცხვა, დაგვისახელეთ უტყუარი წყარო და მხოლოდ მაშინ შეიძლება საქმეს შევუდგეთო. მე კი ვამბობ; ასე საკითხის დაყენება ნიშნავს ზემო-სვანეთის გზატკეცილის გაკეთების დიდი ხნით გადადებას. მაგრამ ეს შეუძლებელია. და ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებლათ საჭიროა **განსაზღვრული გეგმით საქმის პრაქტიკულათ დაწყება** მანამ, სანამ ჩვენ წინდაწინ გვექნება გადადებული ამისთვის საჭირო თანხა. ასე გავაკეთებთ ჩვენ სხვა საქმეები და გავაკეთებთ ამასაც

მართლაც, რასა გავს ჩვენი მდგომარეობა, ერთი იკითხოს ვინმემ: ჩვენ ურთიერთობა და მიმოსვლა გვაქვს ისეთ ქვეყნებთან და ქალაქებთან, რომლებიც დაშორებულია ჩვენგან რამოდენიმე ათასი ვერსით და იმავე დროს ჩვენ მოწყვეტილი ვართ ჩვენ მეზობელ და მოძმე ხალხთან, რომელიც ზედ გვაკრავს ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. საბჭოთა ხელისუფლება მეტს ველარ მოითმენს ასეთ მდგომარეობას. უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ არსებობს გერი და ის თანასწორად ზრუნავს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ნაწილებზე.

და ამას დავამტკიცებთ.

ფ. მახარაძე.

29 დეკემბერი 23 წ.

---

*) აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემო-სვანეთის სტატისტიკური აღწერა არ მომხდარა არც წინეთ, არც საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამის შესახებ სვანები სამართლიანად გვისაყვედურებენ, რომ სხვაგან საქონელს, ე. ი. პირუტყვს, თითქმის ქათმებსაც კი სთვლიან, და ჩვენში კი ადამიანებიც არ არიან ნათვალავები და დათვლილნი.

*) ამავე მიზნით სვანებს ხშირათ უხდებათ აგრეთვე გადალახვა, კიდევ უფრო მეტი გაჭირვებით და წვალებით, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთისაკენ თვით კავკასიონის უღელტეხილის.

გურიის რკინის გზა და მისი მნიშვნელობა

დღეს გურიის რკინისგზის გახსნა თავდებია იმისა, რომ ჩვენი პატარა ქვეყანაც დიდ საბჭოთა რუსეთთან ერთად მალე გამარჯვებული გამოვა იმ გასაჭირიდან და საბედისწერო მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილობამ, წარსულმა ომებმა და რევოლიუციურმა ქარტეხილმა შთააგდო.

რუსეთის მშრომელმა თავისი სოციალისტური ეკონომიური აღორძინება ამ ორი სამი წლის წინათ რკინის გზის და საერთოდ ტრანსპორტის აღორძინება-აღდგენით დაიწყო და მან მიმდინარე წელში არა თუ შესძლო ყველა დანგრეული გზების აღდგენა, არამედ ახლის მშენებლობასაც შეუდგა. საკავშირო რესპუბლიკის ბიუჯეტის სამმართველოს უფროსის, ამხ. რეინგოლდის ანგარიშით მიმდინარე წლის ტრანსპორტი მოგებას მოგვცემს.

ჩვენ მართალია სამოქალაქო ომი არ განვეცდია მთელი თავისი სიმწვავით, მაგრამ ამის მაგიერობა მენშევიკური მთავრობის საქართველოდან გაქცევამ შეასრულა. მან წითელ ჯართან ბრძოლაში უკან დახევის დროს ბევრ ადგილას უდიდესი ხიდები და რკინის გზის მოწყობილებანი სულ ერთიანათ გაანადგურა. საბჭოთა რესპუბლიკამ რუსეთის წითელ არმიის დახმარებით ამის აღდგენა თითქმის პირველ წელიწადვე შესძლო. უფრო ძნელი იყო ჩვენში ახლის მშენებლობის დაწყება: საბჭოთა ხელისუფლებას თავიდანვე მტკიცეთ გადაწყვეტილი ჰქონდა და აქვს მენშევიკური მთავრობის ცდა—ქუთაისიდან წყალტუბომდე რკინის გზა—უთუოდ სისრულეში მოეყვანა, მარა, როგორც ვიცით, ეს დღემდე შეუსრულებელი დარჩა.

და აი აქ პირველი მაგალითი, მისცა საქართველოს **გურიის ხალხმა**.

დღეს გარდამავალ ხანაში, როცა წარმოების კერძოთ კაპიტალისტური წესი სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურით უნდა შეიცვალოს, როცა მთელი ხალხის ნაწარმოები ზედმეტი ღირებულება **პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში უნდა დაგროვდეს**, რომ ამით მკვიდრი, ურყევი საფუძველი ჩაეყაროს წმინდა სოციალისტურ წარმოებას და აქედან წარმოშობილ საზოგადოებრივ წყობილებას, **კომუნიზმს, რკინის გზას და საერთოდ ტრანსპორტს** ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

თუ ლენინის სიტყვები „ელექტროფიკაცია სოციალიზმია" მომავალ სინამდვილეს სრულიად და სისწორით გვიხატავს, მაშინ ასეთივე სისწორით შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელ გარდამავალ ხანაში ქვეყნის რკინის გზებით დასერვა და საერთოდ ტრანსპორტის უაღრესათ განვითარება, ეს **შესავალი კარებია სოციალიზმისა**.

თუ რომ არ აღგვედგინა ტრანსპორტი, თუ რომ ვერ შევსძლებთ რკინის გზით ქვეყნის დასერვას, მაშინ, ცხადია, პროლეტარული სახელმწიფო ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ნაწარმოებიდან ზედმეტ ღირებულებასაც ვერ შემოიკრებს და ვერც სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივ პირობების დაგვარათ წარმოება-მრეწველობის აღორძინებას და განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. რკინის გზა სახელმწიფოში იმ როლს ასრულებს, რასაც ჩვენ ტანში, ჩვენს ორგანიზმში ასრულებენ ახალი სისხლის მატარებელი ძარღვები—არტერია და ნერვიანი ძაფები: პირველი ახალ სისხლს, მასალას აწვდის ტანის ყოველ უჯრედს, ხოლო მეორეს ყოველ უჯრედში დაგროვებული ენერგიის [illegible] ცენტრში თავს უყრის და [illegible] მთელ ტანს ამოძრა[illegible] ამოქმედებს.

ცხადია, დიდი მნ[illegible] რკინის გზას კაპიტა[illegible]

ების პირობებშიაც, მარა საქმე ისაა ჩვენთვის, რომ ჩვენ აქედანვე ნათლათ ვარჩევდეთ ახლანდელ მის მნიშვნელობას წინანდელისაგან. ჩვენი თვალსაზრისი აქაც განსხვავებულია: წინათ თუ რკინისგზა ხელს უწყობდა კაპიტალის ზრდას და სამრეწველო ცენტრებს ზრდიდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყოველივე ხდებოდა მსხვილ კაპიტალისტთა კლასის, ერთი მუჭა ხალხის სასარგებლოთ. ახლა კი ამ კაპიტალის და სამრეწველო ცენტრის მმართველ-გამგებელი პროლეტარული სახელმწიფოა, მუშურ გლეხური მთავრობაა.

წინათ ვაჭრობა-მრეწველობიდან მოგებები კერძო კაპიტალისტების ჯიბეში მიდიოდა, ახლა კი ეს მოგება სულ ერთიანათ სახელმწიფო სალაროში უნდა წავიდეს. აი რაშია ძირითადი განსხვავება.

მაგრამ აქ ახლავე [illegible] ძირითადი საჭიროებაც უნდა იქნას აღნიშნული; და ეს მით უფრო, რომ ახლანდელი ჩვენი მეურნეობის ზოგი მეთაურები ფრიად დიდ ყურადღებას აქცევენ ამ მოგებას და საქმის მეორე მხარეს კი შედარებით ნაკლებ ყურადღებით ეკიდებიან.

მე ვამბობ ერთი მცხოვრებთა, მშრომელ მასსების ამ დროითვე ნივთიერათ და კულტურულათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და მეორე ამ დროითვე კომუნიზმის სოციალისტური წყობილებისა და კომუნისტური საფუძვლების შექმნაზე.

მე მგონია, ამ ძირითადი მიზნების მისაღწევათ ზემოთ ხსენებული მოგებიდან ერთი ნაწილი მშრომელთა ნივთიერ-კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა ხმარდებოდეს, ხოლო მეორე ნაწილი სოციალისტურ ეკონომიკის შექმნის საქმეს. ბოლოს და ბოლოს მთელი ჩვენი პოლიტიკის მიზანი ესაა: მოვამზადოთ ობიექტიური პირობები და შევქმნათ წინასწარი საფუძვლები კომუნიზმისა, კომუნისტური წყობილებისა და კომუნისტური კულტურისა.

წინათ თუ ვამბობდით, ამ საბოლოო მიზნისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების რევოლიუციურ გზით დაპყრობაო, დღეს უნდა ვთქვათ, რომ იმავე საბოლოო მიზნისთვის—კომუნიზმისთვის,—რომლისთვისაც ჯერ ვერ მიგვიხწევია, საჭიროა ეკონომიკის სოციალისტური აღმშენებლობა, ვინაიდან მხოლოდ ესაა ერთად-ერთი საფუძველი.

ეს უკანასკნელი კი დღევანდელ პირობებში შეიცავს სახელმწიფოს მიერ მსხვილ-მანქანურ მრეწველობის დიდათ განვითარება-გავრცელებას. დღევანდელ ხანაში სწორეთ ეს არის მთავარი ბაზი სახელმწიფოსთვის.

აი ამ თვალსაზრისით და საზომით თუ შევხედავთ გურიის რკ. გზას, მაშინ უნდა ვიკითხოთ: რას გვაძლევს ეს რკ. გზა?

პირდაპირ სოციალისტურ ეკონომიკის მშენებლობისთვის ამ ჟამათ თითქმის არაფერს, ხოლო მოგებისათვის შეიძლება ბევრი რამ მოგვცეს.

მაშასადამე, ის უნდა განვიხილოთ როგორც მოგების წყარო, მაგრამ ამის გამორკვევა „სპეცებისათვის" მიგვინდვია. აქ მე სულ სხვა მხარეს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება, ვინაიდან გურ[illegible] გზას უფრო [illegible] აზრით, [illegible]

ნიაქცევ[illegible] ტერიტორია[illegible] აულ ხალხს, რომელ[illegible] როვის გამო ყოველთვ[illegible] თავისი ერთი ნაწილი სი[illegible]ის მეურნეობას მოსწყვიტოს და მრეწველობაში ჩააბას, მაშინ დაინახავთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ხალხისთვის ახლათ აგებულ რკინის გზას.

ამ ხალხის ახლო წარსული ნათლათ გვიმტკიცებს, თუ რა კულტურული და რევოლიუციური როლი შეასრულა მან.

ჩვენ ვიცით, რომ სამტრედია ბათომის რკინის გზამ და შავი ზღვის რეისმა მიმოფანტა გურიის წვრილმწარმოებელი ხალხის შვილები შავი ზღვის ნაპირების ნავთსადგურებში და ამიერ-კავკასიის სამრეწველო ცენტრებში; და ყველგან ამ ნავთსადგურებში და სამრეწველო ცენტრებში მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი, გურული მუშა იყო. ამას გვიამბობს ჩვენ ოდესის, ბათომის, ნოვოროსიის, ტფილისის, ბაქოს და სხვების მუშათა მოძრაობის ისტორია.

და თუ რკინის გზამ ჯერ ისევ მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმის ხანაში ეს სასწაული მოახდინა, რას უნდა მოველოდეთ ჩვენ გურიის ხალხისგან გურიის რკინის გზის გაყვანით დღევანდელ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში?

მე მგონია, რომ გურიას ეს რკინის გზა გადააქცევს საქართველოს ერთ უდიდეს ეკონომიურ ცენტრათ.

განა მარტო გურიას სჭირდებოდა დღეს რკინის გზა?

აბა გადავხედოთ საქართველოს სხვა კუთხეებს: წყალტუბო, რომლის

რკ
ისე
ზეზ
ხალხ
ხასიათ
მაგალით
მელთა ხ
თვით მოძ
ტურულია.
მან შე
მეფის
ლაში, მ
ნაურ ბა
მისი შვილები
კავკასიაში ცნო
ბი მუშათა
ინტელიგენციამ
თული მუშათა მ
კეთესო შვილებ
ბურჟუაზიულ მ
ბასთან ბრძოლ
შვილებმა თავ
რული დიქტატ
ცებისათვის
მთლიანად
პირველი ჩვე
დიდება
დიდება მის
მოქმედება
მის „რკინის მ
გვიძლევა „კომუ
ლეში!!

საფრანგეთის მოსყიდული ნილი ბურჟუაზიული

I

ალიაქოთი „პატიოსან

სენსაციების ტრადიციის მატა[illegible] მოწყურებულ საფრანგეთის „საზოგადოებას" სალაპარაკო მიეცა და ამ შემთხვევაში არა უმიზეზოთ.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესაში, პოლიტიკური უზნეობის და გახრწნილების ამ აშმორებულ ჭაობში დიდი მოძრაობა, [illegible], მითქმა მოთქმაა და ალიაქოთი.

ბეჭდვითი სიტყვის დიდი ორგანოების პასუხისმგებელი რედაქტორები, გამგეები და ცნობილი მოსამსახურეები—იმ ორგანოების, რომლებიც ჰქმნიან საფრანგეთში, ასე ვსთქვათ, პოლიტიკურ ამინდს—ყველა ეს ქურუმნი ქუჩური და ზოგიც „სერიოზული" პრესის ნერვიულობაში არიან ჩავარდნილი და „ციებ-ცხელებას" განიცდიან მაგრამ ეს უცნაური აფორიაქება და ნერვიულობა სცილდება პრესის სფეროს და ვრცელდება უფრო შორს ცნობილ და „დიდათ პატივცემულ" პოლიტიკურ მოღვაწეებზე: სინატორებზე, დეპუტატებზე და რესპუბლიკანურ სახელმწიფოს დიდ და პატარა ვირთხებზე.

რამ აალაპარაკა, რამ ააყაყანა ამდენი „პატივცემულნი", რამ შეაშფოთა და წონასწორობა მოსტაცა ამ „ხალხს", რამ ააგორა მოუსვენრობისა და პანიკის ტალღა საძაგელ ქვემძრომებით ამოვსილ ბურჟუაზიული პრესის ტბაში? რა მოხდა ასეთი?

ვიტყვით ახლავე, რომ უშუალო მიზეზი მთელი ამ „ისტორიის" არის ცენტრალური ორგანო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, „ლიუმანიტე".

ამ გაზეთის ნოემბრის 28-ის ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი სათაურით: **„პრესა და ფული"**. ლიუმანიტეს რედაქცია მიაქცევდა საფრანგეთის საზოგადოების ყურადღებას იმაზე, რომ დეკემბრის ხუთიდან ის დაიწყებდა გამოქვეყნებას საიდუმლო დოკუმენტებისას, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ რუსეთის ძველი მთავრობის არქივში და ამშკარავებენ ბურჟუაზიული პრესის ზნეობრივათ დაცემას, და თუ როგორ იყვნენ დიდი პოლიტიკური გაზეთები მოსყიდული ნიკოლოზის მთავრობის მიერ. ამ შინაარსის გამაფრთხილებელი წერილები იბეჭდებოდა „ლიუმანიტე"-ში თითქმის ყოველდღე დეკემბრის ხუთამდი. ამ „საბედისწერო" დღეს დაჭიმული ნერვებით და მოუთმენლად მოელოდა მთელი საზოგადოება და განსაკუთ[illegible]ბით ისინი, ვისაც საბუთი ჰქონდა [illegible] ჩავარდნილიყვნენ ამ

რესებულ
შემდეგ, იძ
ლოთ ხმა
ხასკნელი
მოაღწია
კემბრის
საკით
ლოვიჩი
არტურ
ლოზი. მთავრო
ნისტრის „ხაღ
პარიზში, „დღე
გეთის საპატიო
კორესპონდენტ
ტიტუტის",
„პოლიტიკ
დოების",
ბა"-სი,
ტი"-ს,
სიტყვარის"
ტრიის და
დაქტორი
ზარის",
საზოგადოებ
ინტერნაციონ
და სხვ. და
პიროვნება ფრ
პატივცემული,
გადოებაში მ
ის უშუალო
ბას კოკოვცე
„კომბინაციე
ზარზე,
რაციებს

დეპეშები

(„ზაკ[illegible]ტა“-ს ცნობები)

მირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეებს შორის.

[illegible] ამოქვეყნებულ საბუთებს ყალბს უწოდებს.

[illegible] ადგენს. მან სთქვა, რომ იუზი და სახელმწიფო დეპარტამენტი შეცდომაში

ზის საკითხს გადაჭრილათ სთვლიან

[illegible] ბრკოლებს საბჭოთა კავშირის ცნობას, რადგან რუსეთის 1921 წლის [illegible] ხისათვის.

[illegible] უმით ხელი შეუშალა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის გან-

[illegible]

[illegible] სავაჭრო დამოკიდებულების განვითარება ამ ქვეყნებს შორის.

წერილის საპასუხოთ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკნეილი აღნიშნავს, რომ არაფერი უშლის ხელს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებას. მაკნეილი ფიქრობს, რომ კერზონმა თავისი ულტიმატუმით იხსნა სავაჭრო ხელშეკრულება დარღვევისაგან რუსეთის მთავრობის მხრივ და ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა კომერსანტები, რომელთაც სურდათ რუსეთთან ვაჭრობა, სარგებლობდენ კერზონის დახმარებით.

„მანჩესტერ გარდიენ“-ი საპასუხო წერილში აღნიშნავს, რომ კერზონმა თავისი ულტიმატუმით სათუო გახადა თვით სავაჭრო ხელშეკრულების არსებობა. „სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, შენიშნავს გაზეთი, რომ კერზონი ხელს უწყობს რუსეთთან ვაჭრობის განვითარებას, რადგან თავისი პოლიტიკით ის მეტათ სახიფათოთ ხდის რუსეთთან ვაჭრობას“.

მერიკაში

[illegible]

აუხვიოს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ კატეგორიულ ბრალდებებს ყალბ საბუთებით სარგებლობის შესახებ. იუზმა მოკლე ვადაში უნდა წამოაყენოს თავისი სამართლიანობა. მარტო ის განცხადება, რომ იუზი სარგებლობს იუსტიციის დეპარტამენტის ნდობით საკმარისი არ არის. იუსტიციის დეპარტამენტი ხშირათ მოტყუებულა ზედმეტად გულმოდგინე ჯაშუშების მეოხებით. იუზი, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი და გამოჩენილი იურისტი, ვალდებულია ან წარმოადგინოს საბუთები ან ბოდიში მოიხადოს“.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს აგრეთვე ვოროვსკის მიერ რომში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივე არ არის.

სახელმწიფო დეპარტამენტს სურს თავი დააღწიოს ჩიჩერინის ბრალდებას სტეკლოვის წერილის გამოქვეყნებით და გვერდი აუხვიოს საკითხს კომინტერნის ინსტრუქციის სისწორის შესახებ.

ამერიკის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ზინოვიევის დეპეშა ინსტრუქციების სიყალბის შესახებ; ზინოვიევი აღნიშნავს თავის დეპეშაში, რომ იუზს ძლიერ ცუდი შეხედულება უნდა ჰქონდეს ამერიკის სენატზე, თუ თავის ბრალდებებს ყალბი დოკუმენტებით ასაბუთებს.

პროგრესისტი-სენატორი უილერი, შობის დღესასწაულის გამო, მოუწოდებს იუზს შესცვალოს თავისი პოლიტიკა რუსეთის საკითხში და აღნიშნავს, რომ დროა შესწყდეს მძულვარების ქადაგობა და მშვიდობიანი დამოკიდებულება დამყარდეს მთელს კაცობრიობასთან.

იუზს ეხმარებიან.

იმ მიზნით, რათა დაუმტკიცონ სენატის კომისიას საბჭოთა მთავრობის რევოლიუციონურ აგიტაციის არსებობა ჩრდილოეთ შტატებში, სახელმწიფო და იუსტიციის დეპარტამენტებმა გააძლიერეს საიდუმლო პოლიციის მუშაობა. პოლიცია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ყველა მოქალაქეებს, რომლებზედაც ეჭვი არსებობს მოსკოვთან დამოკიდებულების შესახებ.

სენატორ ბორას ახალი განცხადება.

ნიუ-იორკი. 25 დეკემბერი. სენატორი ბორა კვლავ გამოვიდა იუზის წინააღმდეგ განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ იუზი და სახელმწიფო დეპარტამენტი შეცდომაში არიან შეყვანილი. ბორა ხაზს უსვამს იმ ცნობების სიყალბეს, რომლებიც მოდის რიგიდან, ჰელსინგფორსიდან და რუსეთის მახლობელ სხვა პუნქტებიდან და აღნიშნავს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია 140 მილიონიან ხალხისადმი მიმართულ პოლიტიკის დამყარება ამგვარ ყალბ ინფორმაციაზე.

„ნიუ-იორკ—უორლდ“-ი სწერს: „იუზმა ის კი არ უნდა ამტკიცოს, რომ საბჭოთა მთავრობას კავშირი აქვს კომინტერნთან, არამედ ის, რომ რუსეთის მთავრობა რევოლიუციონურ აგიტაციას ეწევა ჩრდილოეთ შტატებში“.

გაზეთი იხსენებს ყალბ ინფორმაციის მრავალ მაგალითს რუსეთის შესახებ, დაწყებული ცნობით ქალთა ნაციონალიზაციის შესახებ და გათავებული პერიოდულ ცნობებით ლენინისა და ტროცკის სიკვდილის შესახებ.

„ნიუ-იორკ - ამერიკენ“-ი სწერს: „იუზის საქციელი რუსეთის მიმართ დიდი შეცდომაა. მთავრობას არ შეეძლო იმაზე უფრო დიდი ბოროტმოქმედება ჩაედინა, ვიდრე ის, რომ შეეცადა შეცდომაში შეეყვანა საზოგადოებრივი აზრი ისეთ საკითხში, რომელსაც უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. იუზი პირველი არ არის იმ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომლებიც სასტიკ შეცდომას სჩადიოდენ რუსეთის პოლიტიკაში. ჯერ კიდევ ვილსონის პრესამ მოიწონა ყალბი დოკუმენტების გამოქვეყნება. ამერიკის ელჩი რუსეთში ფრენსისი შეგნებულათ ავრცელებდა საშინელ ცილისმწამებელ ცნობებს საბჭოთა მთავრობის შესახებ.

მოითხოვს რა ჩიჩერინის წინადადების მიღებას ურთიერთპრეტენზიების საკითხზე მოლაპარაკების გამართვის შესახებ, გაზეთი სწერს: „ჩვენ გვმართებს პატიოსნათ მოვექცეთ რუსეთს და გვახსოვდეს, რომ ჩვენი რევოლიუციის დროს ჩვენც კონფისკაცია უუყავით უცხოელთა ქონებას და რომ ასე იქცევა ყოველივე სახელმწიფო ყოველ რევოლიუციის დროს“.

იუზის პოლიტიკას საფუძვლათ უდევს ყალბი ცნობები.

ნიუ-იორკი. 26 დეკემ. გაზეთ „ნიუ-იორკ - ჰერალდ“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს, რომ კულიჯი და იუზი ძლიერ აღელვებული არიან პროგრესისტ-სენატორების მოქმედებით რუსეთის საკითხში. ზოგიერთმა სენატორებმა პირადი პასუხისმგებლობით დაიჭირეს კავშირი რუსეთთან.

იუზის აზრით ამ სენატორების პოლიტიკას მიზნათ აქვს აიძულონ ჩრდილოეთი შტატები იცნოს საბჭოთა მთავრობა და მით ჩამოაგდონ განხეთქილება კულიჯსა და იუზის შორის. კორესპონდენტი აღნიშნავს რომ პროგრესისტ-სენატორები პასუხისმგებელნი არიან კულიჯის წერილის ისეთ გაგებისათვის, თითქოს კულიჯს შესაძლებლათ მიაჩნდა ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკება. კორესპონდენტის განცხადებით, კულიჯის წერილის გამოქვეყნებისთანავე პროგრესისტ-სენატორებმა მოსკოვს დეპეშით მიმართეს, რომელშიაც წინადადებას აძლევდენ საბჭოთა მთავრობას დაეწყო მოლაპარაკება სახელმწიფო დეპარტამენტთან.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პროგრესისტ-სენატორების რწმენა, რომ კულიჯი მზათ არის დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება, დამყარებული იყო იმაზე, რომ პრეზიდენტი პასუხის გაუცემლათ ისმენდა მათ რჩევებს. პროგრესისტები შესცდენ კულიჯის პოზიციის გაგებაში, რადგან კულიჯსა და იუზს შორის სრული თანხმობაა.

„როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბარში სენატორ ბორამ განაცხადა, რომ იუზის პოლიტიკა რუსეთის საკითხში დამყარებულია სრულიათ ყალბ ცნობებზე.

საფრანგეთში

ხელისუფლება მტკიცეა.

პარიზი. 26 დეკ. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ტენდენციოზურად ამახინჯებს ფაქტებს რ. კ. პ. დისკუსიის შესახებ. სუვარინი გაზეთ „ჰიუმანიტე“-ში აშუქებს დისკუსიის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ისეთი დისკუსიები, როგორიც ეხლა სწარმოებს, არავითარ გავლენას არ ახდენენ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეზე.

პოლონელ პანების ახალი თავხედობა

მოსკოვი. 28 დეკემ. მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს სანაპირო ბათალიონის წითელარმიელი ვატლაშევი გავიდა პოლონეთის საზღვართან ახლო მდებარე მდინარეზე, სადაც დაჭერილ იქნა საზღვართან მიმავალ პოლონელ ოფიცრის და ჯარისკაცის მიერ. წითელარმიელი წაიყვანეს პოლონეთის სანაპირო ბათალიონის შტაბში. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა 6 დეკემბრის ნოტით მოსთხოვა პოლონეთის ხელისუფლებას ვატლაშევის დაუყოვნებლივი დაბრუნება სამშობლოში და დამნაშავე პირთა დასჯა. რამოდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვატლაშევი მოკლულია.

როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, პოლონეთის სანაპირო ბათალიონის შტაბმა (გამოტოვებულია)... კომუნისტურ პარტიის წევრობისათვის. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა, კოოპმა, პოლონეთის მთავრობისადმი მიმართულ ნოტაში სასტიკი პროტესტი განაცხადა პოლონეთის სანაპირო ხელისუფლების ამ ძალადობის წინააღმდეგ და გამოსთქვა იმედი, რომ პოლონეთის მთავრობა სასწრაფო ზომებს მიიღებს დამნაშავეთა დასასჯელად და ნივთიერად დააკმაყოფილებს მოკლულის ოჯახს.

სრულ. საქართველოს საბ[illegible] მეორე ყრილობის გახ[illegible]

— შესდგება —

30 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე სახე[illegible]

ა. | წ. 30 დეკემბერს საღამოს 4 საათზე
მუშათა სასახლის დიდ დარბაზში
შესდგება
საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის კომუ[illegible]
ციის სხდომა

სრულიად საქართველოს ცაკის მდივანი პ. [illegible]

ყველა პარტიულ, სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამეურნეო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აგრეთვე ყველა გაზეთების რედაქციებს.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებული ბეჭდვითი საქმის გამოფენის მომწყობი კომისია იწვევს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა დასახელებულ გამოფენაში მათ მიერ გამოცემულ ჟურნალების, გაზეთების, წიგნების, ბროშიურების, ფურცლების და სხვ. გადმოგზავნის გზით.

ექსპონატები უნდა გადაიგზავნოს კომუნისტური აღზრდის ცენტრალურ სახლში (ყოფილი სამხედრო ტაძარი) ამხ. პუტილოვთან არა უგვიანეს 1924 წ. 8 იანვრისა.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის [illegible] განყოფილება.

გერმანია და ანტანტა

გერმანიის ახალი მემორანდუმის შესახებ.

პარიზი. 20 დეკემბ. პრესა ხაზს უსვამს, რომ გერმანიის ახალი მემორანდუმი არ ეხება საკითხს სარეპარაციო გადასახადების შესახებ, სთვლის რა ამას გერმანიის მხრივ დათმობათ პუანკარეს წინაშე.

„ტან“-ი აღნიშნავს, რომ საფრანგეთ გერმანიის მოლაპარაკებას უნდა მოჰყვეს საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობა ვერსალის ხელშეკრულების შესრულების საქმეში.

ფრანგები და სეპარატისტები

პფალცის რესპუბლიკის ოფიციალურად ცნობა.

ბერლინი. 26 დეკემბერი. საფრანგეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა პფალცის სეპარატისტული მთავრობის უფლება პასპორტების გაცემაზე, რაც უდრის სეპარატისტული რესპუბლიკის ოფიციალურად ცნობას. გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა საფრანგეთის ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატებს შორის

განხეთქილება სოციალ-დემოკრატებს შორის.

ბერლინი, 26 დეკემბერი. დრეზდენში მიმდინარეობს საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელიც არჩევს საკითხს მთავრობის შედგენის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკა ცდილობს გაატაროს იდეია დიდი კოალიციის სოციალ-დემოკრატებიდან, დემოკრატებიდან და სახალხო პარტიიდან. ამის წინააღმდეგ ილაშქრებს საქსონიის სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთა.

შავ ბანაკში

თავისიანებსაც ვერ სცნობენ.

ბერლინი. 26 დეკ. კარის განკარგულებით მიუნხენში დააპატიმრეს ფაშისტური ცხენოსანი რაზმის უფროსი გრაფ ფრედე.

ფაშისტების ბელადის გარდაცვალება.

ბერლინი. 28 დეკ. გარდაიცვალა ფაშისტური გაზეთის „ფოლკიშერ ბეობახტერ“-ის რედაქტორი—ერხარდტი. ერხარდტის სიკვდილი შექნა ახალი ხმების გავრცელების მიზეზი. ფაშისტებმა გაავრცელეს ხმა ჰიტლერის თვითმკვლელობის შესახებ, რაც ოფიციალურად უარყოფილია.

ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი

ბერლინი, 29 დეკემბერი. ქაბულიდან მიღებული ცნობით, იქ ჩავიდა ინგლის-ავღანისტანის შერეული კომისია ინდოეთის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის მოსაგვარებლად.

საპროტესტო დემონსტრაცია სპარსეთში.

თეირანი. 26 დეკ. ინგლისის მიერ ავღანისტანის მთავრობისათვის გაგზავნილი ულტიმატუმის გამო, თეირანში გაიმართა დიდი დემონსტრაცია. 4 000 მა დემონსტრანტმა გაიარა ინგლისის საელჩოს შენობის წინ შავი დროშებით, რომლებზედაც წარწერილი იყო აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხისადმი სოლიდარობის გამომხატველი ლოზუნგები. ორატორები სასტიკ პროტესტს აცხადებდენ ინგლისის ძალმომრეობის და მუსულმანურ ერებზე თავდასხმის პოლიტიკის წინააღმდეგ.

სამხედრო-საჰაერო დემონსტრაციის პროექტი.

ლონდონი. 26 დეკ. „დეილი ტე[illegible]

მდგომარეობა გერმანიაში

რურის ოლქის მუშები იბრძვიან ათი საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

მუშები უკმაყოფილო არიან პროფკავშირების ბელადების მიერ მწარმოებლებთან დადებულ შეთანხმებით და მოითხოვენ პროფკავშირების მდივნების გადაყენებას.

მწარმოებლების მადა იზრდება: ათი საათის სამუშაო დღის გარდა ისინი მოითხოვენ შრომის ხელფასის 30 პროც.-ით შემცირებას.

საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ ნება მისცა პფალცის სეპარატისტებს გასცენ პასპორტები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფრანგები [illegible] სეპარატისტებს.

საქსონიის სოციალ დემოკრატებს შორის განხეთქილებაა მთავრობის შედგენის საკითხში.

გარდაიცვალა გერმანელი ფაშისტების ბელადი ერხარდტი.

10 საათის სამუშაო დღე

მუშები წინააღმდეგი არიან.

ბერლინი 26 დეკ. რურის ოლქის მელითონეებმა 82 000 ხმის უმრავლესობით 650 წ. წინააღმდეგ უარყვეს პროფკავშირების ბელადების მიერ მრეწველებთან დადებული შეთანხმება 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. მელითონეთა საოლქო კონფერენციამ მოითხოვა პროფკავშირების მდივნის გადაყენება. მელითონეები მუშაობენ 8 საათს. მწარმოებლები ითხოვენ მუშების 30 პროც. შემცირებას შრომის ხელფასის; მწარმოებლების მიზანია გამოიწვიონ მუშების გამოსვლა.

პროფკავშირებმა ესსენში და ჰელზენკირხენში გამოუშვეს მოწოდება, [illegible] თის მუშებს დაეხმარონ რურის მუშებს 8 საათის სამუშაო [illegible] ბრძოლაში და წინადადებას აძლევენ დაიწყონ პროპაგანდა საოკუპაციო ჯარებში. უმუშევრებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელშიაც აცხადებენ რომ იბრძოლებენ 8 საათის სამუშაო დღისთვის და არ იქნებიან შტრეიკბრეხერები. ბრძოლას აწარმოებენ მხოლოდ ის მუშები, რომელნიც კომუნისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. საბოლოო კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20 პროც. ქრისტიანულმა პროფკავშირებმა მოიწონეს შეთანხმება.

საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება გამოქვეყნებულ მოწოდებაში ხაზს უსვამს იმას, რომ დიუსელდორფის შეთანხმების განხორციელება შესაძლებელია სამუშაო დროის გადიდებით და მოჰყავს სტატისტიკური ცნობები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის ხელისუფლება უფრო მეტ დახმარებას უწევს უმუშევრებს, ვიდრე გერმანიის ხელისუფლება, ამასთანავე დეგუტმა აკრძალა კომუნისტური გაზეთი „ბერგიშე არბეიტერ ციტუნგი“ და დაშალა ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა კავშირის განყოფილება.

შუა გერმანიაში.

ბერლინი, 26 დეკემბ. შრომის სამინისტროს სამედიატორო სასამართლომ შუა გერმანიის ნახშირის მრეწველობაში დააწესა 8 საათის სამუშაო დღე იმ მუშებისათვის, რომელნიც მიწის ქვეშ მუშაობენ და 10 საათის სამუშაო დღე—დანარჩენ მუშებისათვის.

მწარმოებლების მადა იზრდება.

ბერლინი. 28 დეკემბ. მაღაროების მეპატრონეები ზემო ჰფალცში მოითხოვენ 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას ზედმეტი ნამუშევარის ჯილდოს მიუცემლათ. მუშებმა უარყვეს ეს მოთხოვნილება.

ბერლინის მრეწველობის მწარმოებლები მოითხოვენ შრომის ხელფასის 30 პროც.-ით შემცირებას. მუშებმა უარი განაცხადეს დაემორჩილონ ამ მოთხოვნილებას, მწარმოებლები კი უარს აცხადებენ სატარიფო შეთანხმების დადებაზე. ბერლინის პოლიგრაფიულ მრეწველობაში შემოღებულია 10 საათის სამუშაო დღე პროფკავშირების დაუკითხავათ.

ზემო სილეზიის მაღაროებში პროფკავშირების თანხმობით შემოღებულია 10 საათის სამუშაო დღე.

ა ვქნათ?

(წერილი მეორე)

თაგენი უნდა დაინგრეს!

[illegible]

რომ ამაშია ფესვები ჩვენი პარტიის კრიზისის. როცა ვთქვი,—არ შეიძლება ყველაფრის ახსნა ჩეკის ძალდატანებით, ამხანაგებს ეწყინათ. მე კი სირცხვილით ვერ ვიტყოდი, ძალდატანების მეტი არაფერია თქო. რათ მინდა იმისთანა პარტია, რომელშიაც ათასობით დაიფანტებიან ჩეკის შიშით. მოგვდიოდა არალეგალური მეორენაირი განცხადებები, პარტიის ერთგული ვრჩებითო. მაგრამ ვფიქრობდი,—ვაი თუ ეს იმიტომ, რომ კიდევ რაღაცას ელიან „იქიდან“ და სხვა დროისთვის უნდათ გამოიყენონ ეს განცხადებები. ვავა, ვამბობდი, კიდევ რამოდენიმე თვე, წელიწადი, „იქიდან“ არაფერი იქნება, და ვაი თუ მოუნდეთ ისევ სხვა განცხადებების წერა, კაცი რომ [illegible] შემთხვევისთვის ხან ერთ საგზალს აიკიდებს ზურგზე, ხან მეორეს, [illegible] ღარ ვარგა პოლიტიკური პარტიისთვის და აღარაფრათ ეღირება თითონ პარტია, თუ არ შეიცვალა ღერძი, რომლის გარეშემოც ის ტრიალებს.

ამიტომ დავაყენე მაშინ საკითხი ახალი გზების შესახებ. პირველათვე ვთქვი, უნდა მოისპოს თითონ პრინციპი დაპირდაპირების, პრინციპი ან მე ან შენ. აუარებელი შეკითხვები, [illegible] მაშინ ცენტრალური კომიტეტი, სჩანდა, რომ ამ [illegible]

ისეო, უშინაარსო ლანძღვა-გინებით გულს იფხანდე, ან ფეხი უნდა აგიცდეს ავანტიურებისაკენ,—ჯანაბას, რაც იქნება იქნებაო, და ვეღარ ერკვეოდე ბრძოლის საშუალებებში.

ამის მეტი გზა რომ არ იყოს, მე, როგორც პატრიოტი მენშევიზმის, ვიტყოდი,—მაშინ უკეთესია სულ მოისპოს მენშევიკური პარტია საქართველოში. ზეზეულათ წახდენას მე მირჩევნია თვითმკვლელობა.

არ ვიცი, რამდენათ მართალია ის, რაც მითხრეს აქ გორის ორგანიზაციის შესახებ. ვფიქრობ, შესაძლებელია. ვიცი, რომ საორგანიზაციო საკითხები იბარა ნოე ხომერიკს. ვიცი, რომ ის ყოველთვის ამბობდა,—არამც და არამც ჩვენი ამხანაგები არ უნდა გაერთონ გახიზნულ რაზმებშიო და უფრო უკეთესი იქნება თუ სულ მოისპობა ეს რაზმებიო. მაგრამ არ კმარა თქმა. როცა აძლევ მარტო შეურიგებლობის ხაზს და პერსპექტივებზე კი უკარავათ ხარ, რაც—უნდა ილაპარაკო აღარაფერი გეგივა. როცა საძირკველი ვერ არის საიმედოთ დადგმული, კედლებს ვეღარ დაამაგრებ. როცა ტაქტიკაში გაქვს რაღაცა წამჯიკავებელი, ვეღარ ეტყვი კაცს, არ წაიბორძიკოო. თავს შეიკავებს ერთ წელიწადს, ორს, სამს და როცა იქნება წაიბორძიკებს.

აი ამ ფესვებიდან ვუდგები მე საკითხს და ვფიქრობ, სულ ერთია [illegible] თეზისები, მიწერ-მოწერა და სხვა, სულ ერთია, [illegible]

გაგება მოვლენების, თუ არ გამოვდივარ საკითხში, როგორც მოსამართლე, ბრალმდებელი, ან ვექილი.

გრიბოედოვის გმირი იყო, ერთ ოთახში მოდიოდა, მეორეში შევიდა. იმასავით გვემართება, ვითომ რევოლიუციონური შინაარსი გვაქვს ჩადებული ჩვენ შეურიგებლობაში და წალკა მივდივართ, უკუღმა სიარული კი გამოგვდის. გავბუტულვართ ამდენი ხალხი, ზოგი საზღვარგარეთ, ზოგი რუსეთში, ზოგი მეტეხში, ჩეკაში, იატაკ ქვეშ, ვწყდებით ცოცხალ საქმეს. ის ნივთიერი და ცოცხალი ძალა, რაც ძალაუფლებისთვის ბრძოლაში იხარჯება, ის რომ ცოცხალ საქმეს ხმარდებოდეს, წაგებული იქნება ჩვენი პარტიული თავმოყვარეობა, მაგრამ მოგებული გამოვა საქართველო, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. მარქსმა სთქვა, თუ ბებელმა,—ერთი პრაქტიკული ნაბიჯი მუშათა მოძრაობაში თორმეტიოდე პროგრამას მირჩევნიაო. საქართველოს შესახებ უნდა ითქვას, ერთი სულ პატარა კულტურული საქმე აჯობებს ყველა იმ ფურცლებს, გაზეთებს, წერილებს, რაც გამოცემულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რაც აწი გამოიცემა. ის ნაკლი, რაც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას ერთი ათად დიდდება შეურიგებლობის ნიადაგზე, მეტი საბაბი ეძლევა ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდეს, დევნას აძლიერებს, მუდამ შეხუთულა, მუდამ ძალღ დაჭიმულ ჰაერში გულიანათ ვერავინ ეკიდება საქმეს. კარგი გვინდა, გლახა გამოდის.

აი ამ უკუღმა სიარულს უნდა დაესვას წერტილი, უნდა მოხდეს წალმისკენ შეტრიალება. დაპირდაპირების, შეურიგებლობის კართაგენი უნდა დაინგრეს, უნდა გატყდეს ჩვენი ხელით ის ციხე სიმაგრე, რომელიც ფეხ-ფეხ მოსაკრავ ქვათ გაუხდა ჩვენი პარტიის ტაქტიკას. უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არის ბოლოს და ბოლოს ეკო-[illegible] კულტურული [illegible] უნდა [illegible] რუსეთთან

ახალს არაფერს ვამბობ ამითი. გაიხსენეთ ნოე ჟორდანიას დეპეშა რუსეთში გაგზავნილი გრ. ურატაძის სახელზე 1920 წელს, როცა გამოცხადდა მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება:—სრული იმედი გვაქვს, რომ ორი ძმა ხალხი, რუსეთი და საქართველო ერთად ივლიან სოციალიზმისკენო. აზრი ეს იყო, სიტყვა-სიტყვაზე არ მახსოვს. როცა ბათომში გავიგეთ ლენინის რჩევა,—საჭიროა, უნდა შეუთანხმდენ ნოე ჟორდანიასო, ყველას დიდი იმედები მოგვეცა. მერე მოხდა ის, რასაც ვხედავთ. შეთანხმება კი არა, ისეთი რაღაც უზარმაზარი აიმართა ჩვენში, რომ თვალუწვდენელ ყინულიან მწვერვალებზე უფრო ადვილათ გადავა კაცი.

მე ვგრძნობ, რა ძნელია იმის თქმა რაც ვთქვი და რასაც ვიტყვი კიდევ. თითქო ნაფოტი მიკავია ხელში და კლდის გადაპობას ვცდილობ. ყველაფერზე უარესია ჩემთვის ამხანაგების შემოწყრომა. მაგრამ სიმართლეთ მიმაჩნია, რასაც ვფიქრობ და აი ამ სიმართლეს ვერ ვიქონიებ სულ გულში ჩახვეულათ. შეიძლება სულ განმარტოებული დავრჩე, არ ვიცი მაშინ მირჩევნია დავდგე იმ იდეურ სიმდიდრეზე, რომელიც მოდის მარქსიდან, ენგელსიდან, „შრომის განმანთავისუფლებელი ჯგუფიდან“, როგორც „ძუნწი რაინდი“ „ოქროს ფუთზე“ და ვიყო „самим собой“ „დედა მიწა მაინც ბრუნავს... და ვიტყვი, დღევანდელ რუსეთთან, იმის კავშირში საქართველოსათვის არის საბოლოოთ მიმატებითი ნიშნები. ყველა სხვა გზებზე ისტორია იძლევა გამოკლებით ნიშნებს. მე ბევრი მითქვამს საქართველოს კოლონიათ გადაქცევის საფრთხეზე ახლანდელ პირობებში. მაგრამ ვერ ვიტყოდი, არ შემეძლო, არ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ წინმსვლელობას უკეთესი დრო დაუდგება, თუ ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენი პარტიის ხელში. შედარება მე არ მიფიქრია, და ამ მხრივ ფაქტები იყო—ყოფ. მენშევიკების კაბინეტი ჩემთან. თუ შედარება იქნება, მე ძალიან მაყვარს ჩემი პარტია და მაინც, ან სწორეთ იმიტომ ვიტყვი, [illegible] უფრო ცუდ პირობებში ჩავარდება საქართველო, თუ ჩვენი პარტია გახდება ისევ მისი სახელმწიფოებრივი მეთაური. სამოთხის კარებზე მიგიძღვებით,—ამ დაპირებას ჩვენი პარტია ხალხს ვერ მისცემს, ამ პასუხისმგებლობას ის თავის თავზე ვერ მიიღებს.

დავუშვათ სულ უკეთესი, ვიფიქროთ, რომ ჩვენი პარტია შეძლებს რაც ვერ შესძლო ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებზე უფრო ძლიერმა გერმანიის ს.-დემოკრატიამ, დავიმედდეთ რომ ჩვენი პარტია შეინახავს თავის თავს ისე, რომ არ გახდება რეაქციონური ძალების უნებლივი მოკავშირე, ან ხიდათ არ გაეხდება საერთაშორისო რეაქციას. და ამ უკეთეს შემთხვევაშიაც საქართველოს ჩაეკეტება კარი ყოველ კუთხიდან, მეურნეობას არ ექნება ხელის ამოსაბრუნებელი წყაროები არსაიდან, ქართველ ხალხს შეექნება, ასეთი მდგომარეობა, რომ უნდა იქნეს სულ შეჯახებების, სულ თავდასხმების მოლოდინში, სულ თოფ ქვეშ, გულს ვერ დაუდებს მშვიდობიან მუშაობას, დაეცემა შრომის ნაყოფიერება, ხალხი დაგლახავდება ქონებრივად და დაქვეითდება კულტურულად.

ოთხივე ფეხზე—უნდა იყო დაჭედილიო, იტყოდა ხოლმე პლეხანოვი. ჩვენ არ უნდა ვთქვათ,—ოღონდ ჯერ ესენი ჩამოვარდენ და მერე ვნახოთო. არა, წინდაწინ უნდა იფიქრო, შეგიძლია თუ არა მეტი მისცე ხალხს. თუ იმედი ვერ შეუსრულე, თუ ამისოდენიც ვერ მიეცი, ხალხი მტრად გადაგეკიდება, დამარცხდები მეორედ და ეს დამარცხება იქნება უარესი.

ვიმეორებ პარტია მიყვარს და იმიტომ ვამბობ, პარტიული აზრი დაჭედილი უნდა იყოს „ოთხივე ფეხზე“, პარტიულმა აზრმა უნდა გადიაროს შეურიგებლობის „კლდენი და ღრენი“, უნდა ითქვას პირდაპირ გულწრფელად, რომ ის პრინციპიალურად ხელს იღებს ძალა-უფლებისთვის ბრძოლაზე, და ამის მიხედვით [illegible] წლის 10 აპრილის რეზოლიუციაში დაპირდაპირების ფორმულა:—„დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“.

ამით შესწორდება ჩვენი შეშლილი ანი და, რასაკვირველია, მაშინ ბანიც უნდა გამოვიდეს სულ სხვანაირი. რამდენჯერ მიგვრძნია თავი უხერხულად, როცა კალამი მკავებია ხელში და მიწერია რამე ამ ძალა-უფლების წინააღმდეგ. შევკითხივარ ჩემ თავს:

— რა გინდა, კაცო, რომ იგინები, ჩამოვარდეს ეს მთავრობა.

— არა, ვამბობ, თუ რუსეთში არ ჩამოვარდა, აქ არ ჩამოვარდება.

— მერე ფაშიზმი, მონარქია.

— რა თქმა უნდა არა, მე ვიცი რაც იქნება ფაშიზმი რუსეთში და რა ხეირს დააყრის რუსეთში გამარჯვებული მონარქია საქართველოს. ისე აიწეწება და აწიოკდება ყველაფერი, რომ ბოლშევიკებთან ერთად მოგიხდება ჩაძრომა იატაკ ქვეშ. არა, როცა, მეტადრე ეს ძალა-უფლება აწარმოებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, უნდა იყო იმასთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ. საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს ამას.

თუ ასეა, ვფიქრობ, არ უნდა შეუშინდე ლოგიკურ დასკვნებს და ბოლომდის უნდა მიხვიდე ამ დასკვნებში. კარგი და საფუძვლიანი კრიტიკაც უშინაარსო გინებათ გადაიქცევა, თუ მიზნათ აღარ ისახავს ამ ძალაუფლების ჩამოგდებას. თუ შენ აღარ ფიქრობ გაბატონებას, თუ, პირიქით, საჭიროთ მიგაჩნია თანამშრომლობა და ერთად სიარული ყოველივე საფრთხის წინააღმდეგ, მაშინ რაღათ გინდა ის კრიტიკა, რომელსაც შეაქვს დეზორგანიზაცია და არევ-დარევა.

აი ეს იქნება შესწორებული ბანი, კრიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ არ მიდიოდე დაპირდაპირების გზით, ცდილობდე იმის გამოკეთებას, რაც არ მოგწონს, ძირს არ უთხრიდე, არ არღვევდე საერთო მუშაობას. სრული ჭკუის კაცი ვერ იტყვის, რაც ნაშენებია, უნდა გადავაფორიაქოო, და საძირკვლიდან დავიწყო ხელახლა შენება სულ სხვა გეგმით. ახალს ის ვერ გააკეთებს, და—ნეტა არ დამენგრია მაინც, გაკეთებული რაც იყო,—იძახის.

გეგმის, სისტემის შეცვლაზე ფიქრი აღარ შეიძლება. ამაზე უნდა იმუშაო, რაც არის, ამაზე უნდა ეცადო, გაუმჯობესებას, რომ მთელი სიცოცხლე ძალა იქნეს შეტანილი საქართველოს მეურნეობაში, რომ კიდევ უფრო გაცხოველდეს კულტურული საქმიანობა. ჩვენ გვეკავა ალა ეკონომიური სხეული, მაგრამ ყველა სხვა გზებზე გადასვლით უარესათ გვეტკინება.

მაშასადამე, უარყოფა დაპირდაპირების და კრიტიკა თანამშრომლობაზე დამყარებული. თუ ეს ანი და ბანი მივიღეთ ჩვენ მარტო სიტყვით, მაშინ საშუალება უნდა მიეცეს ყველას დაუბრუნდეს მშვიდობიან დადებით მუშაობას.

გამოჩნდება ვინმე, მე ვიცი, მართა ალექსეევნა და იტყვის,—[illegible] უკეთეს [illegible] დენათ „უკეთესია“ სხვა [illegible] უნდა ვთქვა,—ან ეს ანი და ბანი გამოდგება გზათ უკეთესი მომავლისაკენ საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, ან სხვა გზა არ არის სულ.

მსხვერპლი არ უნდა გვეზარებოდეს იმისთვის, რასაც ემსახურები. სულის შეწირვაც უნდა შეგეძლოსო,—აკაკის აქვს ნათქვამი ერთ ადგილას, და საქართველოს ისტორიამ იცის ამისთანა მსხვერპლი. თუ ჩვენი პარტიის სული მარტო იმაშია, რომ ძალაუფლების დასაბრუნებლათ იბრძოლოს, დამრღვევ კრიტიკას აწარმოებდეს, მაშინ უკეთესია ჩვენი ხელით იქნეს ის სამსხვერპლოზე მიტანილი. ეს მსხვერპლი პარტიას გადაარჩენს გადაგვარებისაგან. ეს იქნება სიკვდილი, რომელსაც მოჰყვება აღდგომა ნამდვილი სოციალისტურ სულის „ძველი აღთქმის“ ქერქი, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისთვის ბრძოლა, უნდა მოიშოროს პარტიამ, და უნდა დაიბადოს, უნდა მოინათლოს ხელახლა.

ს. დ[illegible]

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგრაფ"-ის კორესპონდენტი კალკუტადან იუწყება, რომ თუ საჭიროება მოითხოვს ავღანისტანზე ზეგავლენის მოხდენას, შეწყვეტილი იქნება სავაჭრო ურთიერთობა და ავღანისტანის ტერიტორიაზე გაიმართება საჰაერო-სამხედრო დემონსტრაცია. კორესპონდენტი უარყოფს ცნობას, თითქოს ინგლისის ულტიმატუმი შეიცავდეს მოთხოვნილებას რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ.

ხმები ინგლისის ელჩის გასვლის შესახებ.

ქაბული. 26 დეკ. ინგლის-ავღანისტანის ურთიერთ დამოკიდებულების გამწვავების გამო, დადის ხმები ინგლისის ელჩის ქაბულიდან გამგზავრების შესახებ.

ინგლისის ულტიმატუმის წინააღმდეგ.

ტაშკენტი. 26 დეკ. 24 დეკემბერს დეხკანებმა და მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაციები ინგლისის მიერ ავღანისტანისათვის წარდგენილ ულტიმატუმის წინააღმდეგ.

იაპონიის ამბები

სტუდენტების და პროფესორების რევოლიუციონური შეთქმულება

ტოკიო. 27 დეკემბერი. იაპონიის პოლიცია იტყობინება სტუდენტების და პროფესორების რევოლიუციონურ შეთქმულების აღმოჩენის შესახებ; შეთქმულების მიზანი იყო არსებულ წესწყობილების დამხობა. კუკიშიმის ოლქში პოლიციამ ხელში ჩაიგდო რევოლიუციონური მოწოდება ახალგაზრდობისადმი. დატუსაღებულია ფორმოზის მოსახლეობის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენლები, რომელთაც სურდათ ფორმოზის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება.

კაბინეტის გადადგომა.

პარიზი. 29 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, იაპონიის კაბინეტის გადადგომა არის რეგენტზე თავდასხმის შედეგი.

სხვადასხვა

საფრანგეთი.

სოციალისტთა კავშირის ყრილობა.

პარიზი. 26 დეკემ. სოციალისტთა კავშირის (ფროსსარის ჯგუფის) ყრილობამ 108 ხმით მიიღო ფროსსარისა და სელიეს რეზოლიუცია, რომელიც გადაჭრით მოითხოვს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან დაუყოვნებლივ შეთანხმებას, ორივე ორგანიზაციის გაერთიანებლად. რეზოლიუციის წინააღმდეგი იყო 61.

შვეცია.

შვეციის კომპარტიაში.

სტოკჰოლმი. 26 დეკემ. შვეციის კომპარტიის დელეგაცია დაბრუნდა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის თათბირიდან. **კონფლიქტი შვეციის კომპარტიაში მორიგებით დასრულდა.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ კონფლიქტის მორიგებაში დიდი გავლენა იქონია ზინოვიევის შემარიგებელმა როლმა.

რუმინეთი.

თავგასხმური კაცთმოყვარეობა.

ვენა. 26 დეკემ. რუმინეთის პარლამენტში, საბიუჯეტო საკითხის შესახებ კამათის დროს, სოციალ დემოკრატმა პლისტენერმა განაცხადა, რომ ვრანგელელებისათვის დახმარების გაწევა ცოტა არ იყოს უტაქტობაა, საკავშირო რესპუბლიკასთან მოლაპარაკების გამო. ამის საპასუხოდ ბრატიანუმ განაცხადა, ეს დახმარება მხოლოდ მოყვარეობის გრძნობით არის გამოწვეული.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ქალაქის უბნები

მოსკოვი. 29 დეკ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებს და ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებს შესწყვიტონ სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტების საქალაქო უბნებათ გადაკეთება, თუ ამის დასტური არ იქნება სრულიად ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმისაგან.

ქარიშხალის შედეგები.

კავკავი. 29 დეკ. ქარიშხალმა დაწყვიტა ელექტრონის მავთულები, სახლებს მოხსნა სახურავები, დაამსხვრია მინები და დაანგრია ორი სახლი.

პარტიული ცხოვრება

გარნიზონის კომორგანიზაციების კრება

პარტიის ახალი ამოცანების შესახებ

მოისმინა რა ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ კოლექტივების ბიუროების, კომიაჩეიკების პრეზიდიუმების, პოლიტწრეების და სამხედრო კომანდირების საგარნიზონო კრება ფიქრობს, რომ

1) თანამედროვე შინაპარტიულ მდგომარეობიდან გამომდინარე საკითხები სისწორით გადაჭრილია ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლიუციაში.

2) მის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა კატეგორიული ნდობა ცენტრალურ კომიტეტისადმი და ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციების მიერ ცეკას ხაზისათვის აქტიური ხელის შეწყობა.

კრება კატეგორიულად ილაშქრებს პარტიის ზოგიერთ წევრების ცდის წინააღმდეგ შეადგინონ ფრაქციები „აზრთა გაცვლა-გამოცვლის თავისუფლების" დ „პარტიულ დემოკრატიზმის" ნილაბ ქვეშ და ფიქრობს, რომ მთელი პასუხისმგებლობის სიმძიმე პარტიის შიგნივ როგორც ასეთი მუშაობის დაწყების, ისე მისი შედეგებისათვის საჭიროა დაეკისროს მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციონერებს.

კრება დიდი მწუხარებით აღნიშნავს ამხ. ტროცკის პოზიციას, რომელიც მან დაიკავა დისკუსიის დროს და ფიქრობს პარტიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში პარტიის ყველა წევრებმა დ პირველ ყოვლისა ხელმძღვანელებმა და ბელადებმა გადაჭრით დ აშკარად უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მერყეობა და დაცულ იქნას საერთო—პარტიული მთლიანობა.

კრება მოუწოდებს ამხ. ტროცკის გადაჭრით დ ჩქარა განაცხადოს იმის შესახებ, რომ მას არა სურს გამოყენებულ იქნას ოპოზიციის მიერ თავის ბელადათ, რომ ის ძველებურად რჩება პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და რომ მისი აზრი გამოთქმულია პოლიტბიუროს რეზოლიუციაში, რომელსაც პოლიტბიუროს სხვა წევრთა გარდა თანხმობა მისცა ამხ. ტროცკიმაც.

კრებას დაესწრო 300-ზე მეტი კაცი, რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ს. პ. ქ. ყველა ოლქკომებს და მაზრკომებს

1922 წლის პარტ-გადასინჯვისა და გაწმენდის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცეკას არ ჰქონდა საშუალება პარტიაში დარჩენილ ყველა წევრებისთვის დაერიგებია მთლიანი პარტბილეთები, ვინაიდან ამხანაგების ნაწილს არ გაევლო 1922 წლის [illegible] პარტ-აღწერა, რადგანაც [illegible] ისინი ითვლებოდენ კანდიდატებათ. ამისათვის მათ დაურიგდათ კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მიერ დროებითი პარტ-მოწმობა, რომელსაც ძალა აქვს მთლიანი ბილეთების დარიგებამდის.

ს. კ. პ. ც. კ-მა უკვე მიიღო მთლიანი პარტ-ბილეთები, რომლის დარიგება უნდა დამთავრდეს 1924 წ. [illegible]რამდე, რის შედეგაც მიღებული დროებითი პარტ-მოწმობები ჩაითვლება გაუქმებულათ.

ამისათვის ს. კ. პ. ც. კ-ი წინადადებას აძლევს ოლქკომებს, მაზრკომებს და ტფილისის კომიტეტს, რათა დაჩქარებით შეადგინონ სია ყველა იმ ამხანაგებისა, ვისაც აქვთ ს. კ. პ. ც. კ-ის მიერ მიცემული დროებითი პარტ-მოწმობები და გამოითხოვონ ცეკასაგან მთლიან-პარტბილეთები. სიებში უნდა იყოს ნაჩვენები: გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება და დროებითი პარტმოწმობის ნომრები და სიასთან ერთად წარმოადგინონ პარტ-აღწერის ბლანკი „ა", ვიზედაც არის შევსებული.

ყველა ის ამხანაგები, რომლებიც გავიდენ თავის მაზრიდან მეორე მაზრაში ან ერთი ორგანიზაციიდან მეორე ორგანიზაციაში პარტ-გადასინჯვისა და გაწმენდის შემდეგ უნდა გამოცხადდენ და გატარდენ რეგისტრაციაში და ამ პარტკომებში, სადაც ირიცხებიან ამა ცირკულიარის გამოქვეყნების დღეს პარტ-ბილეთების მისაღებათ.

შენიშვნა: 1 სიაში უნდა იყვეს დატოვებული ადგილი მთლიანი პარტბილეთების ნომრების ჩასაწერად და უნდა იქნას გადმოგზავნილი ორ ცალად

შენიშვნა: 2. ის ამხანაგები, რომლებიც არიან გაგზავნილნი მივლინებაში ან შვებულებაში უნდა შეტანილ იქნან იმ ორგანიზაციის სიებში, სადაც ირიცხებიან, რაც აღინიშნება შენიშვნაში.

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

აღრისტატის გამგე **ლიცინოვი.**

სააგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზაციები იაჩეიკებში

პარტიის 12 ყრილობის შემდეგ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობამ ჰპოვა ახალი ფორმები და შინაარსი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა იზრდება და რთულდება. აგიტაციის დღევანდელი დღის მებრძოლ და გადამწყვეტ პირობებში პირველ რიგში დაყენებულია სისტემატიური, მრავალწლებისათვის ნავარაუდევი **პარტიული სწავლა,** როგორც პარტიის წევრთა, ისე უპარტიოების მარქსისტული განათლება.

წრეების და პოლიტიკურ განათლების სკოლების, მარქსისტულ წრეების, თვითგანათლების წრეების, რიცხვის ზრდა, საზოგადო განათლების საგნების შესწავლისაკენ ლტოლვა, საკლუბო მუშაობის გაღრმავება, კედლის და ცოცხალი გაზეთები, პოლიტიკური სასამართლოები, ციკლიური ლექციური მუშაობა,—ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩვენ ვეძიოთ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ახალი საორგანიზაციო ფორმები, ცენტრის და ადგილების მჭიდრო კავშირის ახალი ფორმები.

როგორია მდგომარეობა ამ ჟამად?

იაჩეიკის მდივანი ასრულებს უმთავრესად საორგანიზაციო მუშაობას.

პროფკავშირთან, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტთან ან ადგილკომთან კავშირის საკითხი, მუშაობა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში, ქარხნის გამგეობასთან ურთიერთობის მოწესრიგება, სხვადასხვაგვარი კონფლიქტები თვით იაჩეიკის შიგნივ,—აი ის საკითხები, რომლებიც 90 პროცენტით იპყრობს მდივნის ყურადღებას.

ეს გასაგებიც არის, რამდენადაც ეს უკანასკნელი არის იაჩეიკის პოლიტიკური ხელმძღვანელი და რამდენადაც ეს აიძულებს მას მთელი ყურადღება მიაპყროს საორგანიზაციო მუშაობას.

გარდა ამისა, საორგანიზაციო მუშაობის მეთოდების გართულება ფიზიკურად ნებას აძლევს იაჩეიკის მდივანს მოანდომოს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას საჭირო დრო.

ამავე დროს, ვიმეორებ, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის თანამედროვე პირობები, გაღრმავებასა და სისტემატიურობისაკენ გადასვლა (აგიტაციის დარგშიაც კი, სადაც აგრეთვე დრომოჭმულად ითვლება მებრძოლ, მაგრამ ზერელე მიტინგური მუშაობა და მის ნაცვლად შემოღებულია უფრო დასაბუთებული და სერიოზული მოხსენებები) მოითხოვს, **რათა თანამედროვე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხების გარშემო ვინმე მუდმივად და სისტემატიურად მუშაობდეს.**

საჭიროა განთავისუფლებულ იქნას იაჩეიკის მდივანი იაჩეიკაში სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისათვის უშუალო პასუხისმგებლობისაგან და ეს მუშაობა დაეკისროს სპეციალურ პირს, რომელიც ორგანიულადაა დაკავშირებული რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან.

ეს გვაძლევს საშუალებას:

1) შევისწავლოთ უფრო სისწორით და დასაბუთებულად ამა თუ იმ იაჩეიკის, ამა თუ იმ საწარმოვო დაწესებულების მოთხოვნილებანი.

2) განვსაზღვროთ უფრო სისწორით მათი მოთხოვნილება სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის ამა თუ იმ დარგში,

3) უფრო გეგმაშეწონილად დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილებანი და, ბოლოს,

4) ჩავაბათ აქტიურ პარტიულ მუშაობაში პარტიულების ახალი ნაწილი, რომელიც დღემდის არ იყო გამოყენებული.

პრაქტიკულად მე ვიძლევი შემდეგ წინადადებას:

1) თვითეულ იაჩეიკაში იმ ამხანაგებიდან, რომელთაც შეუძლიანთ სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის წარმოება, გამოყოფილ იქნეს აგიტაცია-პროპაგანდის სპეციალური ორგანიზატორი.

2) გამოყოფილი აგიტაცია პროპაგანდის ორგანიზატორი მთელ მუშაობას აწარმოებს იაჩეიკის მდივნის კონტროლის ქვეშ.

3) აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორი უშუალოთ დაკავშირებულია რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან, რომელიც აძლევს მას სათანადო ინსტრუქციებს; ის თავის მუშაობისათვის პასუხისმგებელია სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წინაშე.

როგორი ვალდებულებები აქვს დაკისრებული აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორს.

1) აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორი ყოველთვიურად ადგენს მუშაობის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს იაჩეიკა; ის თავის იაჩეიკისათვის იყენებს რაიკომის გეგმას.

2) მონაწილეობას იღებს სკოლების, მარქსისტულ წრეების, სხვა სახის წრეების (რომელთაც ხსნის რაიკომის სააგიტაციო განყოფილება) მოწყობაში და თვალყურს ადევნებს იაჩეიკის წევრებს, რომ მათ სისტემატიურად იმეცადინონ ამ წრეებში.

3) რაიკომის დახმარებით აწყობს თვითგანვითარების წრეებს, რეგისტრაციაში ატარებს იმათ, ვინც სახლში მეცადინობს და აწესებს კავშირს რაიონის სკოლის გარეშე განათლების (თვითგანვითარების) ორგანიზატორთან.

4) აწყობს წარმოებებში და დაწესებულებებში გაზეთების გამოწერას და წიგნების გაყიდვას და თვალყურს ადევნებს გაზეთების სისტემატიურათ მიღებას.

5) მონაწილეობას იღებს ლექციების, მოხსენებების და საუბრების მოწყობაში და იღებს ზომებს იმისათვის, რომ ამის შესახებ ეცნობოს თავის წარმოების ან დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს.

6) შედის კულტკომისიაში და მის მუშაობას უთანხმებს პარტიულ ხაზს.

7) პერიოდულად ადგენს რაიკომის სააგიტაციო განყოფილებაში ანგარიშებს მუშაობის შესახებ.

ა. პენიაკოვი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(30 დეკემბერი).

ჩერვონცები	425,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	414,000
ჩეკები	405,000
დოლარები ეფექტ.	95,500
ჩეკები	90.500
ოსმ. ქაღ. ლირა	60.000
იტალიური ლირა	3030
ფრანგული ფრანკი	4540
საბჭ. ფულის ნიშნები	15

მუშკოოპის ფასები.

(30 დეკემბერი)

პური 1 ხარ.—2200 ათ., პური 2 ხარ—1500. ძროხის ხორცი—8000 ათ. შაქარი რაფინადი—21,750 ათ., ფხვნილი შაქარი—13,530 ათ. ვერმიშელი—5900 ათ. ბრინჯი ალდ.—3200. ათ. კარტოფილი—600. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(30 დეკემბერი).

პური 1 ხარ.—3000 ათასი, პური 2 ხარ.—2000 ათასი ძროხის ხორცი 8.000 ათ. ცხვრის ხორცი 9 მილ. შაქარი რაფინ.—22 მ., შაქარი ფხვნილი 15,000 ათ. ვერმიშელი—6500 ბრინჯი ალდ.—3800 მ., კარტოფილი 800—1000.

ბირჟის მიწოდება.

პურეული; სინგაპურის პილპილი; ურალის რკინეულობა, კაკაო ზეთი, კაკაო (მარცვლოვანი), პარაფინი; კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რბილი); პურის სპირტი; შვეიცარიული ყველი; „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია; ბორჯომის ქარხნის პროდუქცია ს. მ. უ. ს. საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი, და სხვ.) კაუსტიური სოდა; ქიმიური ნაწარმოები; ფანჯრის მინა; ადგილობრივი ხორბალი; ლაგოდეხის თამბაქო, ჩაი, ცემენტი და ეტერნიტი, მზესუმზირას ზეთი; ქვა მარილი ნახიჩევ; მაკარონი და ვერმიშელი, სალომასი, აგური.

ბირჟის მოთხოვნილება.

ყუბანის ფქვილი; რკინეულობა; ტექნიკური ცხიმი; საზა, ხორბალი [illegible] „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია; შაქარი რაფ და ფხვნილი, სალომასი; მზესუმზირას ზეთი; პორტლანდიის ცემენტი; ყუბანის ფქვილი 1 ხარისხის; ჰაჯის არაყი (1,000,000 გრად), საშენებელი ლურსმნები; ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

ურალის რკინა (სახურავი)—8 ჩერ. მან. ფუთში, ფრანკო სადგ. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

დიდი მოთხოვნილების გამო ჩერვონცების კურსი კვლავ ზევით იწევს (მიემატა 20 მილიონი); ჩერვონცებს მისდევს უცხო ვალიუტაც.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(30 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	425 000,	60 კ.	25 500.000
2 „	850.000,	70 „	29.750 000
3 „	1.275.000,	80 „	34.000.000
4 „	1.700.000,	90 „	38.250.0000
5 „	2.125.000,	1 მ.	42 500.000
6 „	2.550.000,	2 „	85 000.000
7 „	2 975.000,	3 „	127.500.000
8 „	3.400.000,	4 „	170 000.000
9 „	3.825 000,	5 „	212.500.000
10 „	4 250.000,	6 „	255 000.000
20 „	8 500.000,	7 „	297.500.000
30 „	12.750.000,	8 „	340.000.000
40 „	17 000.000,	9 „	382.500.00
50 „	21.250.000,	1 ჩერ.	425.000.000

ბანდიტების შეპყრობა

ამ ჟამად საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დატუსაღებული არიან ბანდიტები, რომელთაც 11 დეკემბერს მოახდინეს თავდასხმა კავკასიის მაღაროების საზოგადოების კანტორაზე. თავდასხმის დროს მათ გაიტაცეს 5.400 გირ. სტერლინგი, 830 ჩერვონეცი და მრავალი ხელმოუწერელი ჩეკები, რომელნიც შემდეგ გაუქმებულნი იყვენ.

თავდასხმის საღამოს საქართველოს საგანგებო კომისიამ მოახდინა გაძარცვის ადგილის გამოკვლევა, მაგრამ გამოკვლევამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. შემდეგ 5—6 დღის განმავლობაში საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლები ახდენდენ საზოგადოების კანტორის ახლო მდებარე ადგილების გასინჯვას, ამასთანავე მათი ყურადღება მიიპყრო ვინმე დიმიტრიადის ბინამ, რომელიც მოთავსებული იყო საზოგადოების კანტორის პირდაპირ მდებარე სახლში; ამ ბინის ფანჯრები კანტორის პირდაპირ არის. განსაკუთრებული ეჭვი გამოიწვია ამ დიმიტრიადის დამალვამ თავდასხმის შემდეგ. შემდეგ გამოირკვა, რომ დიმიტრიადის კავშირი ჰქონდა ძველ ბანდიტთან გერასიმე თავართქილაძესთან და მასთან ერთად ხშირათ შედიოდა ნ. გურგენიძის შლიაპების სახელოსნოში, რომელიც მოთავსებულია რუსთაველის პრ. სახლ. № 39. გამოძიებამ შემდეგ გამოარკვია, რომ სახელოსნოში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა, მისი პატრონი კი დეკემბრის პირველ რიცხვებში გაემგზავრა ბაქოში. თავართქილაძე შეპყრობილი იქნა და ჩხრეკამ მის ბინაზე აღმოაჩინა ინგლისური სტერლინგები, რომელთა გადამალვას უშედეგოთ სცდილობდა თავართქილაძის ცოლი. შემდეგ დატუსაღებულ იქნა აგრეთვე ბაქოდან დაბრუნებული გურგენიძე; მისი დატუსაღება მოხდა ვინმე ლევან იმნაძის ბინაზე, რომელიც იმ ხანებში დაბრუნდა კახეთიდან. ამავე დროს დატუსაღებულ იქნა ეს უკანასკნელიც. გამოირკვა, რომ იმნაძემ იმგზავრა კახეთში და მას თან ჰქონდა ჩერვონცების დიდი თანხა; კახეთში ის ყიდულობდა ღორებს. შემდეგმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ვინმე დიმიტრი ქარუმიძე ჯერ კიდევ ზაფხულზე დაინტერესებული იყო მაღაროების საზოგადოების და „ჩემო"-ს კასის მდგომარეობით. ამის შესახებ ის ეკითხებოდა ნაცნობებს და, უმთავრესად კი, დიმიტრიადის და სთხოვა ამ უკანასკნელს, რომ მას გაეგო და მიეწოდებია მისთვის სწორი ცნობები კასის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე სხვა დაწვრილებითი ცნობები ამ დაწესებულების ცხოვრებიდან. ამასთანავე ის ეძებდა თავისთვის შესაფერ ამხანაგებს და იმუშავებდა საზოგადოების კასის გაძარცვის გეგმას.

დიმიტრიადი თვალყურს ადევნებდა თავის ბინიდან იმას, თუ რა ხდებოდა ამხანაგობის კანტორაში, და აწვდიდა ამის შესახებ ცნობებს ქარუმიძეს. შემუშავებული იყო გეგმა, რომლის განხორციელებისათვის ბანდიტებმა მოიწვიეს დამხმარეები, და 8 მძარცველმა 11 დეკემბერს საღამოს მოახდინეს თავდასხმა საზოგადოების კანტორაზე. გაძარცვის შემდეგ ფულები მიტანილი იყო იმნაძის ბინაზე შერდულის ქუჩაზე, რომელიც მიყრუებულ და ცენტრიდან დაშორებულ კუთხეს წარმოადგენს. საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა მიიღეს ზომები ქარუმიძის დასატუსაღებლად. უკანასკნელს მიაგნეს დგებუაძის ბინაზე, ალექსანდრეს ქ. სახლ. № 28 ამ დგებუაძეს ამ ჟამად ეჭირა 1-ლ ქართულ პოლკის უფროსის თანაშემწის თანამდებობა, ის მეფისა და მენშევიკურ არმიის ოფიცერია, შეპყრობის დროს ქარუმიძემ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია საგანგებო კომისის თანამშრომლებს და სროლის შემდეგ, არ მოისურვა რა დანებება, დახია ფულები, რომელიც მას თან ჰქონდა, სულ 1.200 გირ. სტერლინგი, რის შემდეგ მან თავი მოიკლა.

ეხლა გამოირკვა, რომ ბოროტგამზრახველების იმავე ჯგუფმა მოახდინა უკანასკნელ თვეების განმავლობაში მთელი რიგი შეიარაღებული თავდასხმებისა, რომელთაც თან ახლდა მკვლელობანიც. ამა წლის ნოემბერში ამ „შაიკამ" მცხეთის გზაზე მოკლა ორი მუსლიმანი და გაძარცვა ისინი, იმ ხანებშივე ის სამჯერ სცდილობდა გაეძარცვა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ამშენებელ კომიტეტის კასა იმ დროს, როდესაც ფული გადაჰქონდათ ტფილისიდან ავჭალაში. საბედნიეროთ ეს ცდები უნაყოფოთ დამთავრდა.

ბოროტგამზრახველების ჯგუფის წევრი გურგენიძე სპეციალურათ ეწეოდა ნაძარცვ ქონების გაყიდვას ბაქოში და ამიტომ უკანასკნელ ძარცვაში ის უშუალო მონაწილეობას არ იღებდა.

„შაიკის" მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ვასილ ვანიძე—საქართველოს დივიზიის შტაბის განყოფილების უფროსის თანაშემწე (მეფის არმიის შტაბს-კაპიტანი და მენშევიკურ არმიის ოფიცერი) უკანასკნელი ამზადებდა მანდატებს ბანდიტების გასამგზავრებლათ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ძარცვის შემდეგ.

დიმიტრიადი და ამ შაიკის ყველა სხვა ორგანიზატორები და მონაწილენი დატუსაღებულნი არიან. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ფულების დიდი ნაწილი.

ბრძანება

ქალ. ტფილისის და მისი რაიონების გარნიზონისადმი.

№ 162.

1923 წ. 27 დეკემბერი. ქალ. ტფილისი.

წარსულ წლებში, ახალი წლის შეხვედრის დროს, მიუხედავათ აკრძალვისა, შემჩნეული იყო ჰაერში უმიზნო სროლის შემთხვევები, რომელნიც აღელვებდენ მოსახლეობას და უწესოება შეჰქონდათ ქალაქში, ამიტომ ვაფრთხილებ ქალაქსა და მისი რაიონების მოსახლეობას, რომ სროლა ახალი წლის დადგომის აღსანიშნავათ კატეგორიულათ აკრძალულია და ის პირები, რომელნიც დაარღვევენ ამ ბრძანებას, მიცემულნი იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

ქალაქის კომენდანტმა და ქალაქის მილიციის უფროსმა გააძლიერონ თვალყურის დევნება ქალაქში 1-ლ იანვრის ღამეს და ის პირები, რომელნიც სროლას აწარმოებენ—დააპატიმრონ.

დედანს ხელს აწერენ: გარნიზონის უფროსი, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდალი **ეგოროვი.**

ქალ. ტფილისის და მისი რაიონების კომენდანტი **აბაშიძე.**

მუშა მწერლის ამხ. გიგო ხეჩუაშვილის იუბილე



გიგო ხეჩუაშვილი

მუშა-მწერალი გიგო ხეჩუაშვილი

(მისი 25 წ. სამწერლო მოღვაწეობის შესრულების გამო)

საქართველოს მუშები და მშრომელი ხალხი ამა 1923 წ. დეკემბრის 30-ს, კვირას, დილით 12 საათ. ტფილისის სახელმწიფო თეატრში იუბილეის [illegible] გიგო ხეჩუაშვილს.

ვინ არის გიგო ხეჩუაშვილი?

ქართლელი უადგილო—უმამულო ღარიბი გლეხის შვილი, რომელიც დაიბადა გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში 1879 წ; სიღარიბეში აღზრდილი, მებატონესთან ნამსახური, ნამოჯამაგირალი, დღიურად ნამუშევარი, დღეს კი სტამბის მუშა, ასოთ-ამწყობი. მაგრამ მარტო ამისთვის არ უხდით იუბილეს.

გიგო მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული ხალხური მწერალია, სკოლის გარეშე—შინაურულად, აღზრდილ-განვითარებული, რომელიც სუნთქვდა ამ 25 წლის განმავლობაში სტამბის მომშხამველ ჰაერით, ხოლო შრომის გარდა საღამოობით ეწეოდა გონებრივ მუშაობას.

სწერდა სხვადასხვა დარგის თხზულებებს—პოემებს, მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს, ზღაპრებს.

მისი ხალხური ნაწერებით დამშვენებულია ბევრი ქართული ჟურნალ-გაზეთი, გამოცემული აქვს 32 სხვადასხვა სათაურით საკუთარი თხზულებები.

მის ნაწერებს კითხულობენ, სწავლობენ, მღერიან, ადგენენ.

რას გვასწავლის ხეჩუაშვილი?

„კეთილისათვის თავის დადებას, ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლას, უკუღმართობის გმობას".

მისი ნაწერები თავს დასტრიალებს მშრომელთა კერას, ხალხის ბედსა და უბედობას, გლეხისა და მუშის გამწარებულ დუხჭირ ცხოვრებას.

მუშა მწერალი ყოველ თავის ნაწერში „ჩაგრულთ სანუგეშო" აზრებს აქანდაკებს, მათ სულსა და გულს ესალბუნება.

ამიტომაც მადლიერი მშრომელი ხალხი, ვისთვისაც გიგო მთელი 25 წლის განმავლობაში მუშურ კალამს ამუშავებდა, აჟღერებდა ჩანგს, აი ეს ხალხი დღესასწაულს უხდის მას.

მუშა მწერლის ამ პირველი საჯარო დღესასწაულის გამართვა ითავეს ტფილისის რკინ. გზის სტამბის მუშებმა და სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის კავშირმა.

განცხადებთ რა ზემოხსენებულს, საიუბილეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ამ ჩვენის დროის იშვიათ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მუშები და სათანადო ორგანიზაციები.

საპატიო თავმჯდომარენი: ლ. სუხიშვილი, ლ. დუმბაძე, ივ. ბოლქვაძე, სანდრო ეული, კ. მაყაშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარე: ი. იმედაშვილი.

თავმჯდომარის ამხანაგი: რ. მანდრიცკი.

მდივანი: კ. გულიაშვილი.

წევრნი: ნიკიტინი, ფ. პიმენოვი, უმბრიევი, გაბო მალაშხია, ალ. ბაჟიაშვილი, ნიკო იტრიევი, გ. შინატებელი, პ. ახალკაცი, თომა ნასიძე, შაქრო ნავთლუღელი, პ. ბალიაშვილი, ი. კვალიაშვილი, ვ. ინაური, ვ. გლავაცკი, ტ. კორძაია.

მუშა-მგოსანს

(მუშა-მწერალის გ. ხეჩუაშვილის 25 წ. იუბილეის გამო).

ოფლსა ღვრიდი:
სჭიდდი,
ქმნიდი
შრომით,
ნდომით
ყოფნას
ახალს.
წყლულებს თვლიდი:
მოელოდი,
ქედს უხრიდი
დროს
მომავალს.
ქარხნის ხმაურს—
აურს,
ზაურს
ებმე,
ენდვე—
შეუყვარდი.
მინდორ-ველებს
მოგაშორეს,
არ გატკბობდა
ია-ვარდი.
„შაგაშს" შემდეგ
ეწვეოდი,
დაიფლობდი
პარნასის მთებს.
შრომის უბნებს
ეძლებოდი
და უთხზავდი
ცეცხლის ლექსებს.
როს საყვირი
მოუწოდებს
სამუშაოთ დილით
მუშებს
შენც მზათა ხარ:
შენი ჩანგი
ახალ ჰანგით
შრომას უღერს,

სანდრო ეული.

სალამი მუშა-მწერალს

ჩვენში ხშირად იმართებოდა იუბილეები, მხოლოდ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ წრეებიდან გამოსულ მოღვაწეთათვის. მუშათა კლასის წიაღიდან ამოხეთქილი ნიჭი წინეთ ამაზე ვერ იოცნებებდა, ის მისთვის მიუწდომელი იყო. მაგრამ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შეუძლებელი შესაძლოთ გახადა და ჩვენს დროში მუშა ხალხი მხურვალე თანაგრძნობით და სიხარულით დღესასწაულობს თავის წრიდან გამოსულ ამა თუ იმ დარგის მუშაკთა მიღწევებს, მათ დამსახურებას.

დღეს ტფილისში სახაზინო თეატრის შენობაში ის ჩვენი გაზეთის მუშა თანამშრომელის გიგო ხეჩუაშვილის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობას დღესასწაულობს. არაჩვეულებრივია ასეთი იუბილე სხვა დროს და მეტად ბუნებრივია იგი დღეს, მშრომელთა დიქტატურის დროს.

გიგო ხეჩუაშვილი მუშა იყო თავის სამწერლო მუშაობის დაწყების დროს, ფიზიკურ მუშაობისთვის მას არც დღეს დაუნებებია თავი. ის დღესაც ასოთ-ამწყობია ტფილისის ერთ-ერთ სტამბაში და იმავე დროს მას მარჯვეთ უკავია ხელში კალამი, როგორც მუშამ მან კარგად იცის მუშათა გულის პასუხები, მუშათა ყოფაცხოვრება და იდეალები.

დიდი შრომა, ტანჯვა აქვს მას განვლილი თავის ცხოვრების და მუშაობის სარბიელზე, მაგრამ ვერც ერთ მის ლექსში ვერ ნახავთ გულგატეხილობას, უიმედობას და ყოველ მის ნაწარმოებში გამოსჭვივის ღრმა რწმენა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა; სულაც არ აშინებს მას ქარიშხალი.

„ოღონდ ახალი მკვიდრათ აშენდეს,
ამოჩუხჩუხდეს მაშვრალთა წყარო
და შვების დილა მალე გათენდე!"

ამ მხრივ გიგოს შემოქმედება მეტად დამახასიათებელია მუშა-მწერლებისათვის, გიგო ოპტიმისტია, ის გრძნობს, რომ მომავალი მშრომელთ ეკუთვნისთ; რა რიგ შავბნელ ცხოვრებასაც არ უნდა აგვიწერდეს მომავლის, რწმენა მაინც მოისმის მის ჰანგებში. ამიტომაც უყვარს და აფასებს მას მშრომელი ხალხი, რომელიც მის პატივსაცემად მისი მოღვაწეობის 25 წლის თავზე ზეიმობს.

მუშა ხალხი მოესწრო გამარჯვებას, მისი მწერალი გიგო ხეჩუაშვილიც მოესწრო თავის დღესასწაულს თავის ზეიმს, თავის მოღვაწეობის დაფასებას. ეს ზეიმი და სიხარული უკანასკნელი არ იქნება მუშა-მწერლებისთვის; მუშათა ხელისუფლება თავდებია იმისა, რომ მუშა მწერლებს ფართო ასპარეზი გაეხსნება, მუშა ხალხის მესაიდუმლეთ სათანადო ადგილი დაეთმობათ მწერლობაში და ცხოვრებაში, ჩვენი მუშათა კორესპონდენტები და თანამშრომლები ამის იმედს იძლევიან. ისინი თანდათან იპყრობენ თანამედროვე პრესას და გვიხატავენ იმ კლასის ყოფა ცხოვრებას, რომელსაც ისტორიის ჩარხის ტრიალმა უკვე არგუნა ცხოვრების მესვეურობა.

ვესალმებით გამარჯვებას მუშა მწერალთა კალამს, მხურვალეთ ვესალმებით დ ვუსურვებთ დღეგრძელობას ჩვენს იუბილიარს—გიგო ხეჩუაშვილს!

მუშა-მგოსნის გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი [illegible] მუშა-მწერალს, გიგო ხეჩუაშვილს, მისი 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის დღესასწაულს და გამოსთქვამს უტყუარ სურვილებს, რათა მისი ნიჭი დაუღალავი მარჯვენა კვლავ შეუპოვრად აჟღერებდეს პოეზიის ჩანგს მშრომელი ხალხის გასამხნევებლად.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი ამ დღეს აღნიშნავს თავისი წვლილის გაღებით.

თავმჯდომარე **მამულია**

ქრონიკა

— **შემოკლებულ მისამართით გაგზავნილ წერილებს ფ.-ტელეგრაფი არ ღებულობს.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ დაადგინა: აღარ მიიღოს ის წერილები და კორესპოდენციები, რომელზედაც მისამართი (ადრესი) შემოკლებული იქნება.

— **საშობაო ბაზრობა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ხარკოვის საშობაო ბაზრობისათვის ენზელში შეიძინა 7,000 ფუთი ბამბა, 2,000 ფ. კანაფი და 23,000 ფუთი ბრინჯი ბით. რეალიზაციის მიზნით.

— **დუშეთის მაზრის საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** დუშეთის მაზრის საგლეხო კომიტეტების ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს და, აგრეთვე, გადასწყვიტა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს ტფილისში გლეხთა სახლის მოწყობის საქმეს.

— **ციმბირის ჭირი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ციმბირის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ეპიდემიურ ხასიათს იღებს, მიიღოს გადაჭრილი ზომები და ამ მიზნით მთავრობიდან გამოითხოვოს საჭირო თანხა.

— **სახელმძღვანელოები.** განათლების კომისარიატის მიერ ნებადართულია სკოლებში სახმარებლათ შემდეგი სახელმძღვანელოები: 1) ა. მგალობლიშვილი—„არითმეტიკული ამოცანათა კრებული", 2) ნიკოლაიშვილი „ქართული გრამატიკა", 3) ს. გორგაძე—„ჩვენი ხალხური პოეზია", „ჩვენი მწერლობა", „ჩვენი ძველი მწერლობა", „ჩვენი ახალი მწერლობა", 4) იპ. ვართაგავა—„სიტყვიერების თეორია", 5) გ. ჰუმბურიძე და თ. კიკვაძე—„მეგობარი" (უკანასკნელი იხმარება შრომის სკოლებში მე 3 განყოფილების კურსი).

— **თავშესაფარი ქუჩის ბავშვებისათვის.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაავალა განათლების განყოფილებას სასწრაფოდ წარმოადგინოს საჭირო ხარჯთ აღრიცხვა ქუჩის ბავშვებისათვის დამატებითი თავშესაფარის გასახსნელად.

— **უფასო აბანოები.** წინადადება მიეცა ქ. კომუნალურ განყოფილებას თავის შეხედულებისამებრ დაუშვას უფასოთ აბანოებში აღმასკომის ხარჯზე უმუშევარ ქალთა დროებითი თავშესაფარი და ფაბრიკა-ქარხნების შეგირდთა ცენტრალური სკოლა.

— **შეძლებულ კლასების დაბეგვრა ქუჩის ბავშვების სასარგებლოთ** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას დაუყოვნებლივ შეიმუშაოს პროექტი ქუჩის ბავშვების სასარგებლოთ შეძლებულ კლასების დასაბეგრავათ.

— **დანიშვნა.** ქ. აღმასკომის პოლიტ განყოფილების ქვე-განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. ბუხრიკაშვილი.

— **სწრაფ დამხმარე ავტომობილები.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა ორი ავტომობილი გადაკეთებული იქნას სწრაფ-დამხმარე კარეტებათ და გადაეცეს სწრაფ დამხმარე სადგურს.

— **შრომის მაძიებელნი.** შრომის კომისარიატმა მიიღო შრომის ბირჟის დადგენილება შრომის ბირჟის მოთხოვნილებიდან 10 პროც. დაუთმოს იმ უმუშევრებს, რომელნიც არ არიან დაზღვეულნი და ეძიებენ სამუშაოს.

— **შრომის ბირჟა.** 29 დეკ. შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—40 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—20. სამუშაოზე გაიგზავნა—42, მოთხოვნილება იყო—30.

— **პროვინციის სკოლების დათვალიერება.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობამ დაადგინა: მოახდინოს დაჩქარებით პროვინციის სკოლების დათვალიერება.

— **გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახლი.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ დაამტკიცა დებულება გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახლის შესახებ.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ცენტრალური არქივის დარბაზში (ყოფ. ოლღას ქ., № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: ა) შალვა ამირანაშვილი—„ქართული

1640

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მხურვალე და ძმური სალამი გაზ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების კავშირის და ბიუროს პრეზიდიუმის წევრს, პატიოსან მუშა-მგოსანს, ამხ. გიგო ხეჩუაშვილს.

გაუმარჯოს სიმართლის მოამაგე მის მუშურ კალამს!
გაუმარჯოს ჩვენს ძვირფასს და სახელოვან მუშას--ამხ. გიგოს!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა კავშირის ბიურო.

ფიქრები ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაზე

ხუთი-ექვსი წლის წინედ ასეთ ფიქრებს ჩემს გულში არ გაუვლია, მაშინ ყველაფერი თითქოს „თავის კალაპოტში“ იყო ჩამდგარი. მე როგორც მამაკაცი და მაშასადამე ოჯახის უფროსი მბრძანებელი, ზევიდან დავცქეროდი ჩემს ოჯახს, მაშინ ყოველივე ჩემს სურვილზე კეთდებოდა, საკმარისი იყო ერთი „ბრძანება“ მხოლოდ:

ჩემი მეუღლე კი ეზოს არ სცილდებოდა. ის მთელ დღეს ოთახის დალაგებას, ხატების დაწმენდას (რომელნიც ბლომად იყო კედელზე ჩამოკიდებული) და ორი კაცის სადილის დამზადებას უნდებოდა. სამუშაოდან დაბრუნებულს, ის სულ თვალებში შემომცქეროდა და ამით მეკითხებოდა, „ხომ არა გსურს რაიმე ისეთი, რომელსაც მე ვერ მიუხვდიო“, ასე იყო წინედ, მაგრამ ასე არ არის დღეს, დღეს ოჯახში მეტოქე გამიჩნდა, ცოლის სახით; მეტოქე, რომელიც იბრძვის იმისთვის, რომ მანაც მოიპოვოს დამოუკიდებლობა დასტკბეს თავისუფლების სიმშვენიერით და თავის ხმაც შეუერთოს საერთო მებრძოლთა ხმას. ის უკვე იმაზე კი აღარ იწუხებს თავს, თუ მის ქმარს როგორი სურნელით შეკაზმული ლობიო ესიამოვნება, არამედ ჩასჩერებია გაზეთს, რათა იქ ამოიკითხოს, თუ რომელ მხარეს არის დანიშნული დღეს ქალთა საერთო კრება, რომ გაეშუროს იქით და ხმამაღლა გადასძახოს ამ კრებას.—„კმარა მონობა, ჩვენც უნდა დავტკბეთ თავისუფლების ნექტარით. ჩვენც გვწყურია ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის, უნდა გავცილდეთ ჩვენს სამზარეულოს. გაუმარჯოს თავისუფალ მშრომელ დედაკაცს მშრომელ მამაკაცთან ერთად!“ ხოლო ხატები კი, რომელთაც წინედ ჩემს ოჯახში ნივთებთა შორის პირველი ალაგი ეკავათ, დღეს უპატრონოდ მიგდებულია და იმ კედელზე კი, სადაც ისინი ეკიდა უწინ, დღეს ყვავილიან ჩარჩოებით ჩამოკიდებულია თავისუფლების ბელადთა სურათები. ასე, რომ შედარება ჩემი წინანდელი ოჯახისა — დღევანდელზე შეუძლებელია, ხატები შეცვალა რევოლიუციის ბელადთა სურათებმა, სამზარეულო ჟურნალ-გაზეთებმა, ეკლესია—სხვადასხვა კრებებმა, ხშირად ორატორობს კიდეც. პირველ ხანებში ის კრების პასიური წევრი იყო ხოლმე, შემდეგ თანდათანობით დაუწყო მომხსენებლებს შეკითხვების მიცემა. დღეს კი თვითონაც ღებულობს კამათში მონაწილეობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც მე, მის ყოფილ ბრძანებელს მუშების საერთო კრებაზე გამომეკამათება და დაიწყებს ქალთა უფლებების დაცვას.—ჰაი გიდი დროებავ! ვის გაუგია, ცოლი ქმარს საჯაროთ ეკამათებოდეს—ჰკვირობს ზოგი-ერთი მოხუცი მუშა, რომელსაც ვერ შეუგნია ჯერ კიდევ, რომ დედაკაცი და მამაკაცი საბჭოთა ხელისუფლებამ გაათანასწორა უფლებებით. საჭიროა ეს უფლებები შეიგნონ ყველა დედაკაცებმა ამით ჩვენი პროლეტარული, მუშური ოჯახი ბევრს მოიგებს. ნურავის ჰგონია, რომ „ქალი რომ გაეცნობა თავის უფლებას, დაიწყებს კრებებზე სიარულს და შემდეგ ის საოჯახოდ არ გამოდგებაო“, პირიქით, ამის შემდეგ უფრო კარგა მიყავს ქალს საოჯახო საქმე.

მაშ გაუმარჯოს თავისუფალ ქალს თავისუფალ მუშის ოჯახში.

მუშკორი გაიოზი.

ცეცხლი ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში

გასულ ორშაბათს, 10 დეკემბერს, სად. 5 საათზე ლენინის ფაბრიკის სახმობელ განყოფილებაში შემთხვევით პაპიროსის ნამწვისაგან გაჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე შეამჩნია ფხიზელმა დარაჯმა ამხ. ეგოევმა. მან ჯერ ელექტრონული სადგურის „გუდოკი“-სა და შემდეგ თოფის სროლით ასტეხა განგაში, რომელზედაც უმალ მოირბინა ფაბრიკის მუშამ ამხ. დონდუამ და ერთმა მილიციონერმა. ლენინის პირების სიმარჯვის წყალობით ჩაქრობილ იქნა ცეცხლი, რომლისგანაც დამწვარიყო მხოლოდ ერთი ყუთი.

საჭიროა, რაც შეიძლება მეტი თვალყური ფაბკომისა ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რომელსაც შეეძლება ცხოვრების სალსარო წაართვას 800-მდე მუშას და სახელმწიფოსაც დიდი ზარალი მიაყენოს.

ფაბრიკის კომუჯრედმა დიდი მადლობა გამოუცხადა ამხ-გებს ეგოევსა და დონდუას ასეთი სიფხიზლისა და ყურადღებისათვის; თამბაქოს ტრესტის გამგეობისაგან კი საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნულ ამხანაგების ჯილდოს მიცემა, სახელმწიფოსათვის ასეთ მოსალოდნელ ზარალის თავიდან აცილებისათვის.

მუშკორი მარხა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ეს ორიოდე წელიწადია, რაც ნიკოლოზის მოედანზე, ჩერქეზიშვილის და კრასნოგორის ქუჩის კუთხეში, სადაც დღეს შეშით დატვირთული ურმები იყრიან თავს, გაშენებულია პაწია ბაღი, რომელშიაც სდგას ამხ. რიაზანცევის ძეგლი. ეს ერთი ხანია ეს ბაღი სრულიად უპატრონოდ მიგდებულია და ყოველგვარ საჭირო მზრუნველობას მოკლებული. პირველ ხანებში ამ ბაღს ხის შემოღობილი (решетка) ჰქონდა, რომელიც დაანგრიეს და დაიპარეს ვიღაცებმა. ამის შემდეგ ეკლის ხლართული აქვს შემოვლებული, მაგრამ არც ამას ადგია კაი დღე. ბაღის შესავალი კარები მუდამ ღიაა და არასოდეს არ იკეტება, სადაც ადამიანთა შორის ხშირად საქონელიც და სხვა ოთხფეხებიც დაიარებიან. ნერგები მთლად განადგურებულია და განსაკუთრებით კი დიდ სიბინძურესაც აქვს აქ ადგილი. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პაწია ბაღს, მე ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მაგრამ ერთში კი უფრო ფრიად მნიშვნელოვანია: ეს ბაღი ამხ. რიაზანცევის სახელობისაა, და როგორც ასეთი, ის ამით მაინც უნდა დაცულ იქნეს აოხრებისაგან, მით ამისათვის ურიგო არ იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაქცევდნენ ამ პაწია ბაღს ვისაც ეს ეხება.

მუშკორი თვალი.

მეტი ყურადღებაც უნდა მიექცეს ქალაქის განაპირა უბნებს

20 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, მუშაობის გათავების შემდეგ, მუშკოპის თანამშრომელი ივანე ცარევსკი მიდიოდა სახლში, ნაძალადევში და მასთან კიდევ იყო ერთი ამხანაგი. როგორც გასცდენ ეს ამხანაგები ნაძალადევის თეატრს, უეცრად თავს დაესხნენ მათ ოთხი მძარცველნი და მოუნდომეს გაძარცვა, დიდი სხუბის შემდეგ ერთი მძარცველთაგანი იქნა შეპყრობილი, და ძლიერაც გალახული. დანარჩენები კი გაიქცნენ. შეპყრობილი კი მუშებმა მოიყვანეს უბნის სამმართველოში და დანარჩენის შესაპყრობლად მიღებულია ზომები.

საჭიროა მუშათა უბნები დაცულ იქნენ ყაჩაღ-მძარცველებისგან სასტიკი ზომების მიღებით.

მუშკორი ვედეველი.

ქ. ტფილისის მთავარ მილიციის სამმართველოში.

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ქალაქის მთავარ მილიციის სამმართველოს თანამშრომლები დიდ გაჭირვებას განიცდიან რომის კანონთა დარღვევის მხრივ მუშაობა უხდებათ დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 3 საათამდე, შემდეგ საღამოს 5 საათიდან ღამის 12 საათამდის. აქ ძალიან მოიკოჭლებს კულტურული მუშაობა. თანამშრომლებს და მილიციის უფროსის თანაშემწეს 7—8 საათი მეტი უხდებათ მუშაობა და დრო არც კი რჩებათ თვითგანვითარებისათვის. მართალია საბჭოთა მთავრობისათვის არც უნდა დავზოგოთ არაფერი, უკანასკნელი ძალაც უნდა მოვახმაროთ საბჭოთა აღმშენებლობას, მაგრამ რა ჯანი იმ ამხანაგებმა, რომლებიც მოკლებულნი არიან თავის დასაყრდნობ სახრდოს, კულტურულ მუშაობას. კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას მთავარ-მილიციის აღმასკომი მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას და გამოიყვანდეს ამ ამხანაგებს ამ გაჭირვებისაგან, რომ არც ისინი ჩამორჩნენ უკან მუშაობაში, საქმე არც კანცელარიაში დაბრკოლდეს.

მუშკორი ა. ფ. ხოხობელი.

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** თანახმად სახალხო სახლის ქართული დრამის გამგეობის დადგენილებისა, მუშათა ცენტრალურ კლუბში კვირაში ერთხელ გაიმართება ქართული წარმოდგენები (შაბათობით) პიესები დაიდგმება სახალხო სახლის ქართულ დრამის მიერ ი. ზარდელის და მ. ღვამიჩავას რეჟისორობით.

— **სახალხო სახლი.** ამ ჟამად ქართული დრამა ამზადებს შიუკაშვილის პიესას „სულელს“-ს და გერგესელის „დამზრალი წალკოტი“-ს, „სულელს“ სდგამს მ. ღვამიჩავა „დამზრალ წალკოტს“—ზარდელი. ამ ჟამად მუშათა ცენტრალურ კლუბში მუშაობს 3 დასი: რუსული, სომხური და უკრაინული. ახლო ხანში მოეწყობა ქართული წარმოდგენები.

— **მუსიკალური წრეების მუშაობა.** კლუბთან არსებული აღმოსავლეთის საკრავების და სახალხო საკრავების მუსიკალური წრენი განაგრძობენ მუშაობას. ჩაწერა სწარმოებს საღამოთი კლუბის მდივანთან. პროფკავშირის წევრებმა უნდა წარადგინონ საწევრო წიგნაკები.

კედლის მხატვრობის სანიმუშო დედნის ახლად აღმოჩენილი რამოდენიმე ფრაგმენტი“ და ბ) სარგის კაკაბაძე: მოსკოვიდან“ ჩამოტანილი უძველესი ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერის დათარიღება“. კრებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ.

— „ჩვენი მეცნიერება“. დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ყოველთვიური სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“ № 6—7 (ნოემბერი-დეკემბერი) შემდეგი შინაარსით: 1. ნიკოლოზ ქოიავა—პარადოქსები ფასების ჩამოყალიბებაში; 2. სოფიო წერეთლისა—ადრეული სუსტგონებიანობით შეპყრობილი ბავშვის სწავლების ცდა; 3. ალექსანდრე წერეთელი—სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში; 4. პროფ. ივ. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია წიგნი 4; 5. პროფ. გ. ახვლედიანი—შენიშვნა „ველარები, ღვარი“-ს შესახებ; 6. დოცენტი მ. ასათიანი—უმართებულო პასუხთა სიპტომოკომპლექსის ფსიქიური მექანიზმები ისტორიის დროს; 7. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ანგარიშები; 8 ბიბლიოგრაფია და სხვ. კრებული პირველ რიგში დაურიგდება ხელის მომწერლებს ფასი 80 კაპ. ხელის მომწერთათვის 60 კაპ. ჟურნალში 120 გვერდამდეა.

შემთხვევანი

— **ქურდობა.** 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე გაქურდეს მოქ. ნინა მინოსიანცის ბინა (მილიციის ქ. № 14) წაღებულია ოქროს საათი, საზაკე, ბეჭდები და სხვა. ნივთების ღირებული 265 ჩერ. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **კლუბის გაქურდვა.** 27 დეკ. საღამოს 5 საათზე გაქურდულ იქნა არსენალის კლუბი, საიდანაც წაღებულია რამდენიმე მილიარდის ბუღალტერიული ტანისამოსი. ეჭვით შეიპყრეს მიხეილ ალექსისძე კორჩნოვი.

— **უბედური შემთხვევა.** 27 დეკ. 19 თებერვლის ქუჩაზე ტრამვაის ქვეშ მოჰყვა წალკის რაიონის უნტისოის მილიციელი არტემ ხვეცურიანი. დაშავებული გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— **დაჭრა.** 27 დეკ. დილის 10 საათზე საბაჟოს ქ. № 6 მდებარე სახლის ეზოში ჩხუბის დროს მოქ. ლუკა ვასილის ძე ხარკოვსკიმ დანით მძიმეთ დასჭრა მედროგე მოქ. გრიგორი ბაგრატის ძე ბეგზაზოვი. დაჭრილი მოთავსებული იქნა მიხეილის საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს.

— **თავის დაჭრა.** 27 დეკ. დილის 9 საათზე მოქ. ნინო დავითის ასულმა ბულურმა (მცხ. კურუკანოვის შესახ. № 38) თავი დაიჭრა რევოლვერით. მიზეზი თვითკვლელობის განზრახვისა გამოურკვეველია.

ხელოვნება

— **გიგო ხეჩუაშვილის იუბილე.** დღეს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მუშა მწერლის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე მისი 25 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად. ი. იმედაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ხეჩუაშვილის შემოქმედებაზე. შემდეგ გაიმართება მისალმებანი და სხ. დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **გიგო ხეჩუაშვილის სახელობის ქუჩა.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას მუშა-მწერლის გიგო ხეჩუაშვილის სახელი, მისი 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

— **რომანის „სპარტაკი“-ს გამოცემა.** სახელმწიფო გამომცემლობამ ნინო ყიფიანს მიანდო თავის თარგმნილ რომანის „სპარტაკი“-ს შესწორება მისი ხელახალ გამოსაცემად.

— **თვითმშრომელთა კლუბი.** დღეს, 30 დეკ. თვითმშრომელთა კლუბში მოხდება ლიტერატურული გასამართლება ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ გმირის ვარდუასი, სასამართლოს გახსნამდე პეტრე მირიანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას დ. ჭონქაძის დროისა და შემოქმედების შესახებ.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** „პიკის ქალი“.

— **რუსთაველის თეატრი.** „ინტერესთა თამაში“.

— **სახალხო სახლი.** პირველად „სულელი“.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. 1923 წ. დეკემბრის 17.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიებისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საქალაქო (სამაზრო) საშეფო ბიუროების დებულების მე 4 კარის მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიებისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საქალაქო (სამაზრო) საშეფო ბიუროების დებულების მე-4 კარის მე-12 მუხლი შეცვალოს შემდეგი რედაქციით:

„რესპუბლიკანური საშეფო საქმის კომისიები და საქალაქო (სამაზრო) საშეფო ბიუროები ყოველთვიურად თავიანთი მოქმედების ანგარიშს წარუდგენენ კუთვნილებისამებრ: რესპუბლიკანური—სათანადო ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტს და ამავე დროს ანგარიშის ასლს გაუგზავნიან ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს, ხოლო ბიუროები—სათანადო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს და რესპუბლიკურ საშეფო საქმის კომისიას—კუთვნილებისამებრ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ბ. თალიბლი.

ბრძანება

საქ. ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარიატის მიმართ.

№ 285

ქ. ტფილისი. 17 დეკ. 1923 წ.

სამხედრო ვალდებულ მოქალაქეთ და უმცროს პოლიტშემადგენლობის ნამდვილ რაოდენობის გამოსარკვევათ, მათ შორის ქართულ ენის მცოდნეთა და არამცოდნეთა განსაზღვრის და სამხედრო ვალდებულთა კატეგორიებად განწილების მიზნით,—ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის ა. წ. № 1?6 ბრძანების თანახმად,—აფხაზეთის, აჭარისტანის სამხედრო კომისრებს და საქ. ს. ს. რ. ყველა მაზრის სამხედრო კომისრებს, ვუბრძანებ:

1. აღრიცხულ იქმნან ხელ-ახლად ყველა, საქ. ს. ს. რ. აფხაზეთის და აჭარისტანის ტერიტორიებზე მცხოვრებნი, 1901 წ.—1884 წლამდე დაბადებულნი, სამხედრო-ვალდებულნი მოქალაქენი და პოლიტშემადგენლობა განურჩევლად ჯგუფებისა და სარწმუნოებისა, გარდა ქვემოდ დასახელებულ პირთა:

ა) იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისა, რომელნიც არ შედიან საბჭოთა რესპ. კავშირის შემადგენლობაში.

ბ) საგანგებო დანიშნულების, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ან მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს ჯარის ერთეულების კადრში მყოფთა;

გ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთა. თუნდაც ისინი ირიცხებოდნენ—მოკლევადიან, ავადმყოფობით შვებულებაში ან მივლინებაში;

დ) მეთაურთა, საადმინისტრაციო, პოლიტიკურ, საზეითლო, სამედიცინო შემადგენლობის პირთა; რომელნიც ამ ჟამად არ იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში, მაგრამ უნდა იყვნენ აღრიცხულნი უშუალოდ მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ.

შენიშვნა: უმცროს პოლიტშემადგენლობას განეკუთვნიან ის ზემო-დასახელებულ წლებში დაბადებულნი, სამხედრო ვალდებული მოქალაქენი, რომელნიც ირიცხებიან კომუნისტურ პარტიის წევრებათ ან კანდიდატებათ, გარდა საშუალო, უფროსს და უმაღლეს პოლიტშემადგენლობისა, რომელნიც აიყვანებიან აღრიცხვაზე მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ უშუალოთ.

2. ეს აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს „ხელ-ახალ აღრიცხვის წარმოების დასტურლამის“ თანახმად და იმავე დროს უნდა [illegible] 1922 წ. გამოც. „სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის სახელმძღვანელო“, დამტკიცებული შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1922 წ. 7 სექტემბერს და „უმცროს პოლიტშემადგენლობის აღრიცხვის დასტურლამა“, გამოცემული რესპ. სამხ. სარევ. საბჭ. 1923 წ. ბრძანებასთან № 349.

3. სრულ. საქ ცენტრ. აღმასკ. კომიტ. პრეზიდიუმის ა. წ. № 26 დადგენილების თანახმად, სამხედროვალდებულთა ხელ-ახალი აღრიცხვის უშუალო წარმოება ეკისრება რესპ. წვრილ საადმინისტრაციო ერთეულებს, ამ მიზნისათვის დანიშნულ ხსენებულ დაწესებულებათა ერთ თანამშრომელს, რომლის უფლება და მოვალეობანი სამხედრო ამოცანათა ასრულების დროს განისაზღვრება მათ შესახებ არსებულ დროებითი დებულებით.

4. ხელახალი აღრიცხვა უნდა დაიწყოს 1924 წლის 1-ლ იანვარს და დამთავრდეს იმავე წლის 1-თებერვლამდე; პირველ რიგში უნდა იქნან აღრიცხული 4 უმცროსი წლოვანებანი ე. ი. დაბადებულნი 1901 წ.—1896 წლამდე ჩათვლით; მე-2 რიგში 3-ი წლოვნება—1897—1895 წლამდე დაბადებულნი ჩათვლით, ხოლო მესამე რიგში—ყველა დანარჩენი ე. ი. 1894—1884 წლამდე ჩათვლით.

5. ზემოდასახელებულ სახელმძღვანელოების და დასტურლამების საფუძვლით, ამ აღრიცხვის წარმოებისას უნდა მიმართოთ დახმარებისათვის ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, აღმასკომებს, მილიციის ორგანოებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მიიღონ მათგან დამოკიდებული ყოველივე ზომები აღრიცხვის წარმატებით ჩატარებისათვის.

6. მოქალაქენი, რომელნიც არ გამოცხადდებიან და მოერიდებიან აღრიცხვას, აგრეთვე სამოქალაქო უწყების თანამდებობის პირნი, რომელნიც არ აასრულებენ თავიანთ მოვალეობას—არ აღმოუჩენენ საჭირო დახმარებას ამ აღრიცხვის წარმოების დროს, უნდა მიეცნენ პასუხისგებაში საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსით.

7. ამ ბრძანების ასასრულებლად გამოიცეს სათანადო განცხადება ხელახალ აღრიცხვის შესახებ საყოველთაოდ გამოსაქვეყნებლად.

8. სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის შესახებ ამ დრომდე მომქმედი დასტურლამა—გაუქმებულ იქნას.

ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარი ხუტუნაშვილი.
თანაშემწე ავალიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 30 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) საქ. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იწვევს საერთო კრებაზე საქარ. პროლეტარულ მწერალთა საორგანიზაციო საკითხების შესახებ—ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს:

1. სილ. თოდრია, 2. რაჟდენ კალაძე, 3. სანდრო ეული, 4. ი. გედევანიშვილი, 5. პ. სამსონიძე, 6. ნ. ზომლეთელი, 7. პ. ქიქოძე, 8. შ. დუდუჩავა, 9. დ. დუმბაძე, 10. შ. რადიანი, 11. ალ. მაშაშვილი, 12. გ. ლეარსამიძე, 13. კ. მეგრელიძე, 14. მ. გოგიბერიძე, 15. ანაზარდი, 16. აგრ. ბერიძე, 17. ს. ბერიძე, 18. იაკინთე ლისაშვილი, 19. კ. ილოშვილი, 20. ი. შრომიშვილი, 21. პ. გიგოშვილი (Petrosa) 22. გ. ხეჩუაშვილი, 23. მ. ხრიალეთელი, 24. შ. ჯანბერიძე, 25. გრ. კალანდარიშვილი, 26. გოგიტო ციმბირელი, 27. ნიკო ინასარიძე, 28. დ. კობახიძე, 29. გ. შინატეხელი, 30. სევასტი თალაკვაძე, 31. შაქრო ნავთლუღელი, 32. სიო ხიდისთაველი, 33. იონა ვაკელი.

ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს აგრეთვე, შემდეგ ამხანაგებს დაესწრონ ზემოაღნიშნულ კრებას: ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და მამია ორახელაშვილი.

საქ. საგ.—საპ. განყოფილების გამგე არტ. კვირიკაძე.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 31 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომში (ყოფილი საბჭოს დარბაზი) დანიშნულია დელეგატთა ყრილობა. ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 30 დეკემბერს
პიკის ქალი
1 იანვარს კარმენი
2 იანვარს ბოჰემა
ნის. 810—3—2

დღესასწაულებისათვის.
საზსაშურკომის
მე-2 სავაჭროში
(ყოფ. სემინარიის შენობა, პუშკინის ქ.)
იყიდება იაფად
ხიზილალა ყოველნაირი
ორაგული
ზურგიელი
დოში
ზუთხი ახალი
ყოველ დღე მოდის ახალი თევზი—ლოქო, კობრი, ხაშამი და სხვ.
მე 3 სავაჭროში:
(ელისაბედის და ვაგზლის ქ. ყურე).
იყიდება იაფად
ღვინო კახური.

ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით
2 იანვარს, 1924 წ. საღამოს 6 საათზე
ტფილისის საფონდო-საქონლის ბირჟის ბინაზე
დანიშნულია
ექსპერტიზა
და
დეგუსტაცია
ჩაქვის სახალხო მამულებისა და ყველა სხვა **ჩაისა**
რომელიც კი გასასყიდათ იშოვება საქართველოს ბაზარზე.
ექსპერტიზაზე მოწვეულნი არიან
ჩაით მოვაჭრე ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და ფირმების წარმომადგენელნი.
დეგუსტაციის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ბირჟასა და მიწათმოქმედების კომისარიატში.
(ტელეფონი 15—43). ნის. 814 2—1

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ კვირას, 30 დეკემბერს, დილის 11 საათზე, პოლიტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (კომოს, ყოფ. დიდიმთავრის ქ., № 70) შესდგება ინჟ. გ. ახვლედიანის მოხსენება შემდეგ თემაზე:

საფეიქრო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა და საჭიროება საქართველოში

(მატყლის, აბრეშუმის, ბამბის და სელის გადამუშავება). მოხსენებას დაერთვის მრავალი ცოცხალი სურათები. დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

1—1 № 329

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატ. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი

წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებათ, რომელნიც ეწევიან შეფობას (სამხედრო ნაწილებისას, სოფლისას, საბავშვო სახლისა და სხვ.) ერთი კვირის განმავლობაში რეგისტრაციაში გაიარონ ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (გრიბოედოვის ქ. № 19).

ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე ათაბეგოვი.

ნის. 812 3—2

ამინდი ამიერკავკასიაში

28 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): სოხუმში... 9 გრ., ფოთში... 8 გრ., ბათომში... 11 გრ., სამტრედიაში.... 7 გრ., აჯამეთში... 7 გრ., ქიათურაში 5 გრ., მუხრანში... 1 გრ., ბორჯომში... 0 გრ., სურამში... 1 გრ., ტფილისში... 2 გრ., ერევანში.... 3 გრ., ბაქოში... 8 გრ., (ქუთაისიდან, წიფიდან, მუკუზანიდან — ველისციხიდან ცნობები არ არის მიღებული).

ღრუბლიანობა: ყოველგან სრული.

ქარის ქროლა: სოხუმში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; ფოთში—აღმოსავლეთის, ძლიერ მაგარი. ბათომში — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი. აჯამეთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, მაგარი. ქიათურაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი. ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: მუხრანში ღამით მოთოვა, სოხუმში და ტფილისში—უმნიშვნელო წვიმა.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან. ფოთში—სიწყნარეა, ბათომში—ზომიერი ღელვა, ბაქოში—სიწყნარეა. (ლენქორანში—დიდი ღელვაა).

ამინდი საქართველოში:

ცვალებადი ღრუბლიანობა, ძლიერი ქარი მდინარე რიონის ხეობაში; ნალექი და ყინვა ალაგ-ალაგ აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩრდილოეთ-კავკასიაში

28 დეკემბერი, დილის 7 საათი.

კაზბეგი: ტემპერატურა: —8 გრ., საგრძნობი ღრუბლიანობა, ქარი არ ქრის.

კიზლიარი, ტემპერატურა 2 გრ., მოღრუბლულია. ქარი არ ქრის.

ტფილისი

29 დეკემბერი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 11 გრ.

ღრუბლიანობა: მნიშვნელოვანი.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთ-დასავლეთის, ნელი.

სავალდებულო დადგენილება № 46

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

24 დეკემბერს 1923 წ.

ქალ. ტფილისში შემოღებულ იქნას გადასახადი გვიან ვაჭრობის ნებართვებზე.

1) გვიან ვაჭრობაზე გადასახადი გადახდება ყველა იმ სავაჭრო დაწესებულების (რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, გარდა ამ დადგენილების მესამე მუხლში აღნიშნულ გამონაკლისთა) მეპატრონეთ, რომელნიც აწარმოებენ ვაჭრობას ნორმალურ დროს შემდეგ.

შენიშვნა: ნორმალურ დროთ, რომლის განმავლობაში სწარმოებს ვაჭრობა, ითვლება ის საათები, რომლებიც თვითეულ სავაჭრო დარგისათვის გათვალისწინებულია აღმასკომის მიერ 1923 წ. 17 მარტის № 5 სავალდებულო დადგენილებით.

2) გვიან ვაჭრობაზე გადასახადისაგან განთავისუფლებულია: აფთიაქი, აბანოები, სასტუმროები, მოწყობილი ოთახები და სააუქციონო დარბაზები.

შენიშვნა: სასტუმროებსა და მოწყობილ ოთახებში არსებული ბუფეტები და რესტორანები იბეგრება საერთო წესით.

3) გვიან ვაჭრობისათვის თვიურად გადასახადი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

1	ხარისხის სავაჭროებს	6	ჩერ.	მან.
2	„ „	12	„	„
3	„ „	20	„	„
4	„ „	30	„	„
5	„ „	40	„	„

შენიშვნა: პურით, ხორცით, თევზით და მწვანეულობით სავაჭროებისათვის დაწესდეს 50 პროც. შეღავათი.

4) გვიან ვაჭრობის უკანასკნელ საათებათ ჩაითვალოს:

1) მანუფაქტურის, საგალანტერიო, თამბაქოს, წიგნის, საკანცელარიო ნივთების, საკომისიო, საიუველირო, ტანსაცმლის, ფეხსაცმელების, ტყავეულობის, ბეწვეულობის, რკინეულობის, საფეიქრო საქონლის და ღვინის საწყობებისათვის შაბათობით და უქმე დღეების წინ-საღამოს 7 საათი, დანარჩენ დღეებში, გარდა კვირა უქმისა, საღამოს 9 საათ.

2) გასტრონომიულ, ხილეულობის, საკონდიტროების, გამგრილებელ სასმელების და საბაკალეინო სავაჭროთათვის ყველა დღეებში ღამის 12 საათ.

3) სატრაქტირო დაწესებულებათათვის ყველა დღეებში დილის 3 საათ.

4) საბაზრო მოედნებზე მოთავსებულ სავაჭროებთათვის (დარაბებში, ბუდკებში, მაგიდებზე) ყველა დღეებში ზაფხულებით (1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე) საღამოს 7 საათ. ხოლო ზამთრობით (1-ლ ოქტომბრიდან 1 მაისამდე) სად. 6 საათ.

5) მოვაჭრენი, რომლებიც მოისურვებენ ნორმალურ დროის შემდეგ ამ დადგენილების მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ დრომდე ვაჭრობას, ვალდებული არიან განცხადებით მიმართონ აღმასკომის საფინანსო განყოფილებას და დაწესებული გადასახადით მიიღონ სათანადო მოწმობა, რომელიც უნდა გამოაკრან თვალსაჩინო ადგილზე.

შენიშვნა: სატრაქტირო დაწესებულებათა მეპატრონეთ მიეცემათ გვიან ვაჭრობის ნებართვა მხოლოდ მილიციის სამმართველოდან სათანადო ნებართვის წარმოდგენის შემდეგ.

6) ამა დადგენილების მეექვსე მუხლში აღნიშნულ ნებართვის მიუღებლათ ან და დაწესებულ დროის შემდეგ გვიან ვაჭრობისათვის, დამნაშავენი დაჯარიმებული იქნებიან გადასახადზე სამჯერ მეტი თანხით, რომელიც გადახდება იძულებითი წესით.

7) მილიციის სამმართველოს ევალება თვალყური ადევნოს ამ დადგენილების სწორ-უცვლელად ცხოვრებაში გატარებას.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე ხუხიშვილი.
მდივანი თიკანაძე. კრ. 811 1—1

საჯარო ვაჭრობა

საქართველოს ს. ს. რ-ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

იწვევს მსურველთ მონაწილეობა მიიღონ

წერილობითი სავაჭრო შეჯიბრებაში,

რომელიც დანიშნულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შენობაში,—საპიორის ქუჩა № 30,—ჯან. სახ. კომისარიატის ტფილისის საავადმყოფოებისათვის პურის გამოცხობაზე დღეში 25-დან 30 ფუთამდე, და შემდეგი ვადით: 1924 წლის 5 იანვ დან ამავე წლის 5 ივლისამდე.

განცხადებები უნდა შეტანილ იქნეს დაბეჭდილ კონვერტებით ჯან. სახ. კომ-ის საფინანსო-სამეურნეო განყოფილებაში. განმცხადებლებმა უნდ აღნიშნონ სხვადასხვა ხარისხის ფქვილის თითო ფუთზე გამომცხვარ პურ მეტი-წონის („პრიპიოკ“-ის) სიდიდე იმ პირობით, თუ პურის ცხობის ლი ხარჯი კონტრ-აგენტებს დაევალება. განცხადებებს თან უნდა თოს ქვითარი ხაზინაში შეტანილ საწინდრისა, რომლის რაოდენობა უდრიდეს პირობაში აღნიშნულ თანხის 10 პროც.-ს, ან უფროს რიუსის საგირაო მოწმობა დაგირავებულ ქონებაზე.

სავაჭრო შეჯიბრების დროს ჯან. სახ. კომ-ტი იხელმძღვანელებ მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრ თაც, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იქნება ჯან. სახ. კომისარიატისთვ

გარდა ამისა ჯან. სახალხო კომისარიატი უფლებას იტოვებს მო დინოს 5 იანვარს დღის 1 საათზე განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ჯან. სახ. კომ. ს სო-სამეურნეო განყოფილებაში ყოველდღე 1 საათიდან 3 საათამდე.

კრ. 802 3—3

მე 6-ე და მე-7-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამი

ამით აცხადებს, რომ 3 იანვარს 1924 წელსა, დილის 10 საათზე მე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სედრაკ არუთინოვის პირველ ვაჭრობაზე გაუყიდელ მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება სხვადასხვა საოჯახო ნივთეულობისაგან საქართ. კოოპერბანკის დასაკმაყოფილებლად.

მთელი გასასყიდი ქონება შეფასებული იყო 157 ჩერვონეცათ. ვაჭრობა დაიწყება ან პირვანდელ შეფასების თანხით ან იმ ფასით, რომელიც პირველად იქნება დასახელებული.

ვაჭრობა მოხდება მარინის ქუჩა № 6, სადაც იმყოფება გასასყიდი ქონება. კრ. 815 1—1

სახლი

თავისუფალი ბინებით საჩქაროთ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2 დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. 328 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან № 11414 პავლე ნატენაძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 330

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, სამი წულუკიძის ქუჩა № 4